# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუ ილოებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლოესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 5 მარტი, 2011 წელი.

№42 (6654)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ტურიზმი ქართულად, ანუ თვეისები აქლემებზე



③

ჩვენ ფაქტობრივად არ ვიცით, რა ნახეს მათ ეგვიპტეში, კადრში პირამიდები მხოლოდ სავალდებულოდ გამოჩნდა, სამაგიეროდ უდაბნოს ხომალდებზე მათი ამხედრება იყო ძალზე კოლორიტული სახილველი, განსაკუთრებით ქ-ნ დოდოშკასააქლემება, მეტადრე – ჩამოაქლემება. ფარაონებო, წამოდექით! – ავლაბრულ-ეგვიპტური პრონონსით სჭექდა ეთერ კაკულია.

## ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ საარჩევნო გარემოსა და კანონმდებლობაში „კოსმეტიკურ“ დათმობებს არავინ არ მიიღებს

③

## რევოლუციის მოლოდინში?..




④

## დავით გამყრელიძე:

### ნურავის ექნება ილუზია, რომ რევოლუციის შემთხვევაში ხელისუფლება ლამაზად შეიცვლება



④



## ირაკლი ალასანია კვლავ წყლის ნაყვას განაგრძობს...

②

## უსამართლობას, ძალმომრეობას, ჩაგვრასა და ცინიზმს დაპირისპირებული ახალი პოლიტიკური ძალა

⑤

## ნათელაშვილმა „მილიონერ მაჟორიტარ დეპუტატთა კლუბის“ წევრები დაასახელა

②

### ორი შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან



⑥

## ვიდრე ადამიანებს პოეზია ეყვარებათ...

## იგი მოწოდებით ლიდერი იყო

⑩



ოპოზიცია



„ორი რამ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში: სააკაშვილი, მართალია, წასასვლელია, მაგრამ მასთან ბრძოლა არ ნიშნავს სახელმწიფოებრიობასთან ბრძოლას. ეს პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გაითვალისწინონ“, – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე: „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი აქციების აუცილებლობას არ გამორიცხავს, მაგრამ ამბობს, რომ ყოველ ღონისძიებას კონკრეტული მიზანი უნდა ჰქონდეს: „სოციალური მოტივით გაიმართება თუ პოლიტიკურით, მთავარია, ის მართებულ მიზანს ემსახურებოდეს. ალასანიას განცხადებით: „იმ პირობებში, როდესაც ამ ხელისუფლების უპასუხისმგებლო მმართველობამ ქვეყანაში უმუშევარი და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეების დიდი რაოდენობა შემოიკრიბა, სწორედ აქციაა ის ფორმა, რომლითაც ხელისუფლებაზე ზემოქმედებაა შესაძლებელი. მაგრამ საპროტესტო აქციის მიზანია, შევცვალოთ კონკრეტული მინისტრის ის კონკრეტული პოლიტიკა, რომელიც არ არის სწორი“.

# ირაკლი ალასანია კვლავ წყლის ნაყვას განაგრძობს...

## „თავისუფალი დემოკრატების“ პოლიტიკური ეფექტები

მართლაც, „თავისუფალი დემოკრატები“ სწორედ ამ მიმართულებით მუშაობენ. გუშინდელი ბრიფინგიც პარტიის კონკრეტულ ინიციატივას მიეძღვნა, რომელმაც ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვა უნდა გააუმჯობესოს. ალასანიას პარტია საკანონმდებლო ორგანოს რამდენიმე ცვლილებასა და დამატებას სთავაზობს, რომლის განხორციელების შემთხვევაში ტერიტორიული მთლიანობისთვის საბრძოლო მოქმედებაში დაინვალიდებულ I და II ჯგუფის ვეტერანების სახელმწიფო პენსია 129 ლარს უნდა გაუტოლდეს, ხოლო III ჯგუფის ინვალიდებისა და ომის მონაწილეებისა – 80 ლარს.

ცვლილებები სხვა შეღავათებსაც გულისხმობს. მაგალითად, კანონით განისაზღვრება ომის I და II ჯგუფის ინვალიდებისა და მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრთა შვილების სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსება. ასევე კანონით განისაზღვრება ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯების მინიმალური ზღვარი. არა მარტო მარჩენალდაკარგულთა, არამედ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრების დაკრძალვის სარიტუალო ხარჯიც. „თავისუფალი დემოკრატების“ ინიციატივის თანახმად, სამივე ჯგუფის ინვალიდები და ვეტერანები პენსიას მიიღებენ საბიუჯეტო სფეროში დასაქმების შემთხვევაშიც, 2011 წლის მაისამდე გაიზრდება საყოფაცხოვრებო სუბსიდიები.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ ომის ვეტერანებს შეურაცხყოფა მიაყენა და პრეზიდენტმა ეს ქმედება გაამართლა, ამ სოციალურ ფენაზე ასეთი ზრუნვა მათი მხრიდან ცოტა არ იყოს დამაბნეველი იქნება, თუ, რა თქმა უნდა, საკანონმდებლო ორგანო ამ ინიციატივას მხედველობაში მიიღებს. თავად „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერს კი ამის ეიმედება, ვინაიდან ხელისუფლებამ გაითვალისწინა პარტიის ინიციატივა სამხედრო ჰოსპიტლის დაფინანსების შესახებ და 2011 წლის ბიუჯეტიდან მის დასაფინანსებლად 800 ათასი ლარი უკვე გამოიყო.

ვეტერანთა უფლებების დაცვისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივების დაცვისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივების შემუშავებაზე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ იშრომა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინათ „თავისუფალი დემოკრატები“ კიდევ ერთი ახალი ინიციატივით გამოვიდნენ. ისინი ითხოვდნენ, შექმნილიყო საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროზე საზოგადოებრივ კონტროლს განახორციელებდა. მათი მტკიცებით „პოლიციის საზოგადოებრივი კონტროლის აუცილებლობა იმით არის განპირობებული, რომ, პოლიციის მხრიდან თვითნებური მოქმედებებისა და უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებმა იმატა, რაც უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს“.

როგორც ირაკლი ალასანია ამბობს, აღნიშნული ინიციატივით მათ ამჯერად სახალხო დამცველს მიმართეს, რათა მან, სურვილის შემთხვევაში თავად დააკომპლექტოს პოლიციის მაკონტროლებელი საზოგადოებრივი საბჭო. „ასეთი კონტროლი უფრო ეფექტიანს გახდიდა მოქალაქეთა საჩივრებზე რეაგირებას. უფრო ადვილი გახდებოდა მედიის მხრიდან პოლიციელთა მიერ ჩადენილი სამართლადარღვევის ფაქტების გამოაშკარავებაც“, – ამბობს ის.

**„თავისუფალ დემოკრატებს“ ხელისუფლებისთვის მსგავსი ინიციატივების შეთავაზება მიაჩნიათ ერთ-ერთ ეფექტიან გზად, ვიდრე ყბადაღებული მუქარები და მიტინგები. ამიტომაც მოუწოდებენ პოლიტიკურ ძალებს, მთელი საკუთარი ინფრასტრუქტურა და პოლიტიკური აქტივი სახელმწიფოს განვითარებას მოახმარონ, რაც პირდაპირ გულისხმობს კანონიერი არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას. „საბოლოო ჯამში, მთავარი მაინც ის არის, რომ მთელი ენერგია მივმართოთ არჩევნების გზით ცვლილებებისკენ და ნაციონალთა გუნდის უმცირესობაში გადაყვანისკენ“, – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.**

თეა მოსია

ჩვენ

# რევოლუციის მოლოდინში?..

**არაბულ სამყაროში მიმდინარე პროცესებმა ქართული პოლიტიკა ერთგვარად გამოაცოცხლა. დღეს ყველა „ეგვიპტიზაციასა“ თუ „მუბარაქიზაციაზე“ საუბრობს. ოპოზიციის აქციებზე ორიენტირებული ნაწილი კი, როგორღაც უფრო თავდაჯერებული გახდა.**

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით „ქართული პარტიის“ პოლიტიკური რიტორიკა გააქტიურდა. მისი ლიდერები ეგვიპტესა და ლიბიასთან ავლებენ პარალელებს.

ლევან გაჩეჩილაძის თქმით, მალე საქართველოშიც იგივე მოხდება, რაც – ქაიროში. საბოლოოდ კი, ლევან გაჩეჩილაძის აზრით, „ზაფხულში ჩვენ ყველა ერთად წავალთ დასასვენებლად და ამას სააკაშვილისგან დასვენება ერქმევა“.

„ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი და პრეზიდენტობის ექსკანდიდატი მიიჩნევს, რომ რევოლუციის თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ უახლოეს მომავალში საქართველოში სასწრაფოდ გამოსწორდება მდგომარეობა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, „რევოლუცია გარდაუვალი იქნება და ამ პროცესს „ქართული პარტია“ წამოიწყებს“.

გუშინვე, ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე გამოსვლისას „ქართული პარტიის“ პოლიტიკურმა მდივანმა ეროსი კიწმარიშვილმა აღნიშნა: „როგორ შეიცვლება დღევანდელი რეჟიმი? არჩევნების გზით თუ რევოლუციით? ამ კითხვას პასუხი თავად სააკაშვილმა უნდა გასცეს. სააკაშვილმა უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები თავისუფალი ბიზნესგარემოს შესაქმნელად, თავისუფალი სასამართლოს, თავისუფალი, არაპოლიტიზებული პოლიციის, თავისუფალი საარჩევნო გარემოს შექმნის მიმართულებით და გაათავისუფლოს მედია. იმ შემთხვევაში, თუ ეს მოთხოვნები არ შესრულდება, საზოგადოების მასობრივი პროტესტი და რევოლუცია ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა იქნება“.

ლევან გაჩეჩილაძისა და ეროსი კიწმარიშვილის განცხადებებში ახალი არაფერია. „ქართული პარტია“ უკვე რამდენიმე თვეა, გაზაფხულზე აქციების დაწყების შესაძლებლობას აანონსებს. მაგალითად, პარტიის ერთ-ერთმა ცნობადმა სახემ, სოფო ხორგუანმა ჯერ კიდევ 9 თებერვალს თქვა, რომ „ქართული პარტია“ არსებული ხელისუფლების შესაცვლელად გაზაფხულიდან აქციებისა და ბრიფინგების ჩატარებას დაიწყებს.

იხ. 4 გვ.




ლეიბორისტები

# შალვა ნათელაშვილმა „მილიონერ მაჟორიტარ დეპუტატთა კლუბის“ წევრები დაასახელა



**„ლეიბორისტული პარტია“ მაჟორიტარ დეპუტატთა კორპუსის გაუქმებას და დეპუტატებისთვის ქონების ჩამორთმევას მოითხოვს.**

როგორც პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობაში მთავარი დამნაშავეები „ყაჩაღი“ მაჟორიტარი დეპუტატები არიან, რომლებიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელშეწყობით მხოლოდ იმით არიან დაკავებული, რომ ხალხის ხარჯზე მილიონები იშოვონ.

შალვა ნათელაშვილმა გუშინ ათი დეპუტატი დაასახელა, რომლებიც, მისი თქმით, „მილიონერ მაჟორიტარ დეპუტატთა კლუბის“ წევრები არიან და მათი ქონების შესახებ ისაუბრა.

მილიონერ დეპუტატთა 10-კაციან ჩამონათვალში მოხვდნენ თეთრი წყაროს დეპუტატი დავით ბეჟუაშვილი, ბოლნისის დეპუტატი კობა ნაყოფია, ადიგენის დეპუტატი დავით ოქრიაშვილი, ბაღდათის დეპუტატი თემურ კოხოძე, მთაწმინდის დეპუტატი არჩილ გეგენავა, ნაძალადევის დეპუტატი მერაბ სამადაშვილი, ლენტეხის დეპუტატი გოგი ლიპარტელიანი, ახალგორის დეპუტატი დევი ოვალიშვილი, კასპის დეპუტატი კობა კურდღელაშვილი და ხობის დეპუტატი გოდერძი ბუკია.

ნათელაშვილის განცხადებით, ეს ათკაციანი ჩამონათვალი საბოლოო არ არის და ის უახლოეს მომავალში კიდევ არაერთ დეპუტატს დაასახელებს, რომლებსაც „ხალხის ძარცვით“ მილიონები აქვთ ნაშოვი.

ინტერპრესნიუსი

ინფორმაცია

## სეპარატისტთა ვიცე-პრემიერმა თანამდებობა დატოვა

**დაურ თარბამ** სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრემიერის თანამდებობა დატოვა. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მედია ავრცელებს. ოფიციალური ინფორმაციით, თარბა თანამდებობიდან საკუთარი სურვილით წავიდა. მისი განცხადება გადადგომის შესახებ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა დააკმაყოფილა.

აღსანიშნავია, რომ დაურ თარბასა და ე.წ. პრემიერ-მინისტრს სერგეი შამბას შორის ურთიერთობა ბოლო დროს დაიძაბა. მიზეზებად სეპარატისტული აფხაზეთის მიერ რუსეთის მიმართ წარმოებული „დათმობის“ პოლიტიკა სახელდებოდა. თარბა ასევე გამოთქვამდა უკმაყოფილებას აფხაზეთიდან სოჭის ოლიმპიადისათვის ინერტული მასალების გატანის საკითხებზე და მას რუსეთის მიერ აფხაზეთისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების „არც თუ ისე სუფთად ათვისების“ საკითხებიც აღელვებდა.

აი, რას წერს აფხაზური ოპოზიციური პრესა დაურ თარბას გადადგომის შესახებ:

დაურ თარბას თანამდებობიდან წასვლა, შესაძლოა



მისი დამოუკიდებელი პოლიტიკური კარიერის საფუძველი გახდეს. მის თანამდებობიდან წასვლას ექსპერტებმა სენსაციური უწოდეს, იმიტომ, რომ თარბა უბრალოდ ვიცე-პრემიერი კი არ იყო, არამედ იგი „პროპრეზიდენტული“ პარტიის „ედინაია აბხაზიას“ ლიდერი და სერგეი ბაღაფშის ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი პირიც გახლდათ – მისი იმედი და საყრდენი.

აი ჩამონათვალი სფეროებისა, რომლებსაც დაურ თარბა კურირებდა: აფხაზური ენის განვითარება, რეპატრიაცია, კავშირგაბმულობა, ეკოლოგია, კურორტები და ტურიზმი, ტრანსპორტი, პრივატიზაცია და ა.შ. ამიტომაც მისი გადადგომა „საკუთარი სურვილით“ აფხაზეთის საზოგადოებისთვის „მეხის გავარდნას ჰგავდა“.

ამასთან ერთად, ცნობილი ხდება, რომ დაურ თარბამ გადადგომის გადაწყვეტილება სერგეი ბაღაფშთან გამართული „მძიმე საუბრის“ შემდეგ მიიღო. წყაროები ასევე აცხადებენ, რომ თავად ბაღაფში არ აპირებდა თარბას თანამდებობიდან გაშვებას, თუმცა ვიცე-პრემიერმა მაინც გადაწყვიტა – „იგი უნდა წავიდეს!“

## კუშადასა და ბათუმს შორის, შესაძლოა, საკრუიზო მიმოსვლა დაიწყოს

**აჭარის** მთავრობის თავმჯდომარე, თურქეთის ქალაქ კუშადასა და ბათუმს შორის საკრუიზო მარშრუტების დანიშვნის საკითხს განიხილავდა.

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, ლევან ვარშალომიძე და თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ კუშადასის მერის მოადგილეს შეხვდა.

მხარეებმა შეხვედრისას საკრუიზო ტურების მარშრუტების დანიშვნაზე და ექსკურსიების დაგეგმვაზე ისაუბრეს.

შეხვედრაზე იმსჯელეს ასევე, ტურისტულ გამოფენებში ბათუმისა და კუშადასის ერთობლივ მონაწილეობაზე.

ჯი-ეიჩ-ენი

პარტიებსა და მოძრაობებში

*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ლევან ბერძენიშვილის მიერ ვაშინგტონში, ორგანიზაცია NED-ში გაკეთებულმა პოლიტიკურმა მოხსენებამ და ქართულ პრესაში მისივე კომენტარმა, დიდი ინტერესის გარდა, მითქმა-მოთქმაც გამოიწვია.*

*ლევან ბერძენიშვილი აშშ-ში რეიგან-ფასელის პროგრამით იმყოფება. ორგანიზაცია აშშ-ში ყველაზე დიდ ფონდს წარმოადგენს და ორგანიზაცია NED-ი მართავს. ფონდში უცხოეთის ქვეყნებში დემოკრატიის მშენებლობასთან დაკავშირებული, აშშ-სათვის სტრატეგიული ინფორმაცია იყრის თავს. ქართველი პოლიტიკოსის მოხსენებასა და პრესაში გამოთქმულ მოსაზრებებზე „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში, საქართველოს ყოფილ ელჩს ავსტრიასა და უნგრეთში კოტე ყიფიანს ესაუბრა.*



# ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ საარჩევნო გარემოსა და კანონმდებლობაში „კოსმეტიკურ“ დათმობებს არავინ არ მიიღებს

**— ბატონო კოტე, აშშ-ში მყოფი ლევან ბერძენიშვილი ირწმუნება, რომ თუ ქართული საზოგადოება მოახერხებს სააკაშვილის ხელისუფლებიდან გაშვებას, აშშ და ევროპა მას აღარ გადაეფარება. თქვენი აზრით, მართლაც ასე აქვს გული აცრუებული სააკაშვილზე აშშ-სა და ევროპას?**

— ჩემი აზრით, პრობლემა ის კი არ არის, გადაეფარება თუ არა აშშ ან ევროპა, თუნდაც ორივე ერთად სააკაშვილს, არამედ ბატონი ლევანის განცხადების პირველი ნაწილი, ანუ კითხვა — მოახერხებს თუ არა ქართული საზოგადოება სააკაშვილის ხელისუფლებიდან გაშვებას და რაც კიდევ უფრო მთავარია, რა საშუალებებით მოახერხებს.

თუ ამ „გაშვებამდე“ ოპოზიცია ცდის ყველა საშუალებას, მაგრამ საქართველოს ახლანდელი მთავრობა მაინც არ წავა არანაირ დათმობაზე საარჩევნო გარემოს შესაცვლელად (საუბარია სიების მოწესრიგებაზე, საარჩევნო ადმინისტრაციის შეცვლაზე, პოლიციის მხრიდან არჩევნებში ჩაურევლობის აუცილებელ გარანტიებზე) და საქართველოს მოსახლეობა ქუჩებში გამოვა უსამართლობის საბოლოოდ აღსაკვეთად, მაშინ არსებულ რეჟიმს არავინ აღარ გადაეფარება. მაგრამ, თუ ქუჩის პროცესები ზემოხსენებული ცდის გარეშე განვითარდა, შეიძლება, მსოფლიოში გამოჩნდნენ ძალები, რომლებმაც ამგვარი „სულსწრაფობა“ არ მოიწონონ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს „არმოწონებაც“ მხოლოდ განცხადებების დონეზე მოხდება და არსებული ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენებას, ყველა შემთხვევაში, ყველა დაგმობს.

**— სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამერიკული დაზვერვა საქართველოში შექმნილ ვითარებას სწავლობს და აკვირდება, მაგრამ მტკიცება, რომ სააკაშვილი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ რეგიონისა და თავად აშშ-სა და ევროპისათვის წარმოადგენს საფრთხეს, ცოტა გადაჭარბებულ-გაზვიადებული ხომ არ არის?**

— ევროატლანტიკური თანამეგობრობისთვის, მათი ლიდერების მუდმივი და თანამიმდევრული განცხადებების თანახმად, საფრთხეს ყველა სახის ავტორიტარული და განსაკუთრებით ტოტალიტარული, დესპოტური რეჟიმები წარმოადგენენ. ამაზე პრეზიდენტ ობამას ერთ-ერთი ბოლო განცხადება კიდევ ერთხელ მეტყველებს. მაგრამ, მთავარია, რომელ რეჟიმებს ჩათვლიან ისინი ასეთად. არ ვარ დარწმუნებული, რომ თუნდაც აშშ-ის ახლანდელი მთავრობა სააკაშვილის რეჟიმს ტოტალიტარულად მიიჩნევდეს. ავტორიტარულობის, თუნდაც ნახევრად-დემოკრატიულობის გამო აშშ და ევროპის წამყვანი სახელმწიფოები რადიკალური პოზიციისაგან თავს შეიკავებენ, თუ საქართველოში შექმნილმა სიტუაციამ რეგიონის დესტაბილიზაციის რეალური საფრთხე არ შექმნა. მხედველობაში მაქვს „დაკონსერვებული“ კონფლიქტების „ცხელ ფაზაში“ გადასვლის ან ენერგომარშრუტებისთვის საფრთხის შექმნა.

**— საინტერესოა ქართველი რესპუბლიკელის ხედვა საქართველოში მოვლენათა განვითარების სამ სავარაუდო სცენარზე — 1. ევროპული, 2. შინაური გზა და 3. სინგაპურის მოდელი. მისივე აზრით, ევროპული გზა სააკაშვილს იმის გამო აღარ მოსწონს, რომ გრძელია და ხელისუფლებაში ვერ დარჩება — სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენა იმიტომაც არის სახიფათო, რომ მას ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებზე პასუხი არა აქვს და სინგაპურის გზას აირჩევს, რაც ქვეყანაში გამოიწვევს დაპირისპირებას „ნაციონალურ მოძრაობასა“ და ნაციონალისტებს შორის. ასეთ ვითარებაში კი, ქვეყანაში დასუსტდებიან პროდასავლური ძალები და საქართველო რუსეთისათვის იოლი ლუკმა გახდება... რამდენად რეალისტურია ქართული პოლიტიკური ლანდშაფტის ამგვარი შეფასება და პერსპექტივის პროგნოზი?**

— ეკონომიკურ ნაწილში ბატონ ლევანს სრულიად ვეთანხმები. რაც შეეხება დანარჩენს, პირველ რიგში ის მაინტერესებს, რას გულისხმობს მოვლენათა განვითარების „შინაურ გზაში“ და რომელ ძალებს თვლის ბატონი ლევანი „ნაციონალისტებად“. ჩემი აზრით, გონიერი ნაბიჯების გადადგმის და გონიერი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველოში, სწრაფად არა, მაგრამ გარკვეულ პერიოდში, შესაძლებელია ეროვნული ფასეულობების და დასავლეთისაგან მისაღები ფასეულობების შეთავსება. რაც შეეხება რუსეთისათვის „იოლ ლუკმად გახდომას“, ეს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალებში ყველა სახის დაპირისპირების დროს მოხდება. როცა ქვეყანა და ქვეყნის საზოგადოება რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი და დანაწევრებული, ყოველთვის ასეა.

**— თუ ვის მიიჩნევს ბატონი ლევანი „ნაციონალისტებად“, მისი აშშ-დან ჩამოსვლის შემდეგ დავაზუსტებთ. მაგრამ, თუ ლევან ბერძენიშვილის განცხადებას გავიხსენებთ, რომ იგი „ქართული პარტიის“ გვერდით არასოდეს დადგება“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ნაციონალისტებად“ სწორედ ქართულ პარტიას მიიჩნევდეს...**

— სიტყვა „ნაციონალისტს“ რომ ყველა ერთნაირად ცუდი მნიშვნელობით არ აღიქვამს, ეს ცნობილია, მაგრამ თუ ამ სიტყვაში უფრო მეტად ეროვნულობა იგულისხმება, საქართველოში არიან როგორც პოლიტიკური, ისე საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც „ქართულ პარტიას“ ამ პრიორიტეტს არ დაუთმობენ. ეროვნული ფასეულობების ერთგულება საქართველოში არსებული ყველა პარტიის პროგრამაშია, მაგრამ ერთია პროგრამა და მეორე ამ პარტიების მხრიდან ნამდვილად ეროვნული ფასეულობების დაცვის უზრუნველყოფის შესაძლებლობები, რაც არანაირად არ უნდა ხდებოდეს საქართველოს სხვა ეროვნების მოსახლეობის უფლებათა შეზღუდვის ხარჯზე.

ტურიზმი ქართულად

# ფეისები აქლემებზე

„ნანუკას შოუს“ ამ სერიამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ტურიზმს ჩვენში მართლაც დიდი მომავალი აქვს.

ვნახეთ შემტევად წარმატებული ნანუკა ჟორჟოლიანისა და მისი სტუმარ-თანამებრძოლების: შეუდარებელი ინგა გრიგოლიას, არანაკლებ შეუდარებელი ეთერ კაკულიას, 12 წლის ასაკში სამუდამოდ ჩარჩენილი ნანული სარაჯიშვილისა და საღ-სალამათი შეხორცების დოდოშკა ხურცილავას ხმაურიანი მოგზაურობა ფარაონთა სამკვიდროში.

ჩვენ ფაქტობრივად არ ვიცით, რა ნახეს მათ ეგვიპტეში, კადრში პირამიდები მხოლოდ სავალდებულოდ გამოჩნდა, სამაგიეროდ უდაბნოს ხომალდებზე მათი ამხედრება იყო ძალზე კოლორიტული სახილველი, განსაკუთრებით ძ-ნ დოდოშკასააქლემება, მეტადრე — ჩამოაქლემება. ფარაონებო, წამოდექით! — ავლაბრულ-ეგვიპტური პრონონსით სჭექდა ეთერ კაკულია.

იყო წივილ-კივილით მთელი ინფრასტრუქტურის ყურადღების მიპყრობა. დრომადერებს აშკარად ეტყობოდათ, რომ ერთი სული ჰქონდათ კუზებიდან ჩამოეფერთხათ სტიქიურ უბედურებასავით თავს დამტყდარი მოჟრიამულე ტვირთი, ყველაფრისთვის მიეფურთხებინათ და უახლოესი ოაზისისკენ გაჭენებულიყვნენ.

მაგრამ მთავარი, იქ, მსოფლიო ისტორიის კარიბჭესთან ქართველი მოგზაური ქალბატონების გულახდილი და შთაგონებული საუბრები იყო, რამაც ორგანულად შეკრა, მათი მთელი ეს აქლემური სვლა ნილოსის ნაპირებზე.

განსაკუთრებით ქართული ჟურნალისტიკის მეტრმა და თბილისის საკრებულოს ქრისტიან-დემოკრატიული სამყაროს პოლიტიკურმა გიგანტმა ინგა გრიგოლიამ ჩაუგდო ენა გულახდილობაზე დახარბებულ მაყურებელს.

ნანუკას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო ასეთი გულახდილი საუბრისთვის აუცილებელი ინტიმური გარემოს შექმნა: ნახევრად ჩაბნელებული „ბუდუარი“, ვნებისაღმძვრელად მხრჩოლავი ნარგილე, საიდანაც ინტერვიუერი და რესპონდენტი ნარნარ ნაფაზებად ამოსწოვდნენ თამბაქოს ბოლს. ინგა ხალიჩაზე იჯდა როგორც ზმანება და ტელეობიექტივს უსაზღვრობამდე მოუშილიფებდა ხოლმე გარუჯულ ბარძაყებს.

მან გაგვანდო, რომ „ღრმა ბავშვობიდან“ (ეს ალბათ მისი ცხოვრების სამტრედიული ეტაპიაძ ჰყავდა ხოლმე „ინტერესის ობიექტი“, სამაგიეროდ ეს „ობიექტი“ თბილისის საკრებულოში არ ჰყავს. იქვე ბოდიში მოუხადა საკრებულოს მამაკაცურ ფრთას, თუმცა კი თქვენს შორისაც ბევრია საინტერესო ობიექტიო.

აქვე მან მშვენიერი მაქსიმა გამოაცხო: როცა ერთი ეტაპი მთავრდება, მეორე იწყებაო. ეს ეტაპები ნებისმიერად შეგიძლია განავრცო: როცა მეორე ეტაპი მთავრდება, მესამე იწყება, ან როცა მეშვიდე მთავრდება, მერვე იწყება და ა. შ. დაუსრულებლად.

მერე ისეთი რამ თქვა, მე პირადად მისი ცოდვით დავიწვი: მე თვითონ ფეისი, ფეისებმა დამღალა, ფეისებს, ანუ ცნობად სახეებს, ველარ ვიტანო. უცნობი, ნაკლებად პოპულარული სუბიექტი ურჩევნია ამ ჩემს ნორჩ გულსო.

ეს განცხადება დასრულებული სახით ტელევიზიით შეიძლება ასე გადაიცეს: „წარმატებული ტელეჟურნალისტი და ამომავალი პოლიტიკური ფიგურა გაიცნობს სიმპათიურ მამაკაცს, რომელსაც ფართო საზოგადოება არ იცნობს. ფეისს ნუ შემოგვთავაზებთ“.

ერთი სიტყვით, კარგი სანახავები იყვნენ ჩვენი ქალები უდაბნოში.

ალბათ, კიდევ უკეთესი იქნება უცხოელთა ხილვა ილუმინაციით განათებული უშბის ფერდობზე. თანაც, როცა უკვე ვიცით, რაც არის უცხო სანახაობის მარილი — აქლემი.

ჰოდა, ბურების ერთი რომელიმე ჯგუფის ნაცვლად რამდენიმე ათეული აქლემი შემოვიყვანოთ და წარმატება გარანტირებული გვექნება. მით უფრო, თუ მეაქლემეებს თეთრი კაბების ნაცვლად ჩოხა-ახალუხებს ჩავაცმევთ და ტურისტ ქალბატონებზე მივუშვებთ ხმლიან-ხანჯლებიანად.

დიახ, თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო. ისე რომ, ტურიზმის დარგში წარმატება, მდგრადი ვერა მინისტრისა არ იყოს, პირდაპირ გდია ქუჩაში და ახლა მხოლოდ აღება უნდა.

**სანდრო ალექსიძე**



ინფორმაცია

## ოკუპირებული ტერიტორიებიდან ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ტრანზიტი ხდება

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საშიშროება არა მხოლოდ ნარკოტიკების ტრანზიტის არამედ იარაღის უკანონო ვაჭრობის არსებობს.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ლაშა თორდიამ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის შეფასებისას აღნიშნა.

— ჩვენ არაერთხელ გვითქვამს რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ხდება სხვადასხვა ქვეყნებში ნარკოტიკების ტრანზიტი მათ შორის ევროპაში. როდესაც არსებობს ასეთი ბუფერული ზონები და ამის ხელს უწყობს ისეთი ქვეყანა როგორიც რუსეთის ფედერაციაა, ეს საშიშროება ყოველთვის იქნება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, — აღნიშნა თორდიამ.

მისივე თქმით, აუცილებელია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო მონიტორინგის შეშვება, რათა მოხდეს ამ რეგიონების კონტროლი.

— ეს ტერიტორიები გამოიყენება შავ ზონებად ნარკოტიკული საქმიანობისთვის, რომელიც კონკრეტული ადამიანების ჯიბეებს ავსებს. ეს არის შავი ფული და სწორედ ამისთვის არის შექმნილი ბუფერული ზონები, საიდანაც ძალიან ადვილია დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების მოხვედრა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, — აღნიშნა თორდიამ და დასძინა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში სწორედ ქართულ მხარეზე დაყრდნობით მომზადდა.

მისივე თქმით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნარკოტიკების ტრანზიტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აუცილებელია მოხდეს ამ რეგიონებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენა, რადგან როგორც ცნობილია 2003 წელს სწორედ ანალოგიური პრობლემა არსებობდა პანკისის ხეობის მიმართულებითაც, თუმცა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ პანკისში ეს პრობლემები ძირფესვიანად არის აღმოფხვრილი.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ნარკოტიკების ტრანზიტის მთავარი კორიდორი ხდება.

დეპარტამენტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი მთავარი მარშრუტით ნარკოტიკები საბერძნეთიდან და თურქეთიდან საქართველოს გავლით დასავლეთ ევროპაში ხვდება.

კლინტონის უწყებაში აღნიშნავენ, რომ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთის ტერიტორიას საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს და შესაძლოა სწორედ ამ რეგიონებზე გადიოდეს ნარკოტრანზიტის გზა.

ხო-ეიბ-ენი

## მემარჯვენეები კედელს ცერცვს აყრიან

***რიგი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ბოლო დღეებში საქართველოში შესაძლო რევოლუციაზე ალაპარაკდნენ, ზოგიერთმა მათგანმა კი რევოლუციის სათავეში ჩადგომის მზადყოფნაც გამოთქვა. რა საფუძველს ემყარება ეს განცხადებები რამდენად მოსალოდნელია ქვეყანაში მოვლენების რევოლუციის გზით განვითარება და რას მოუტანს ეს ქვეყანას? — ამ საკითხებზე „პირველი“ ე.წ. ზომიერი ოპოზიციის წარმომადგენელს, „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერ დავით გამყრელიძეს ესაუბრა.***



### დავით გამყრელიძე:

# „ნურავის ექნება ილუზია, რომ რევოლუციის შემთხვევაში ხელისუფლება ლამაზად შეიცვლება“

**— ბატონო დავით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში რევოლუციების მომრავლების ფონზე რიგი ქართული ოპოზიციური პარტიები ჩვენს ქვეყანაში არაბული სამყაროს მოვლენების შესაძლო განმეორებაზე ალაპარაკდნენ. ამასთან, ზოგიერთი მათგანი ახალი რევოლუციის სათავეში ჩადგომის მზადყოფნასაც გამოთქვამს. როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით?**

— ყველა პარტია საკუთარ განცხადებაზე თავად არის პასუხისმგებელი და პოზიციასაც თავად ირჩევს. ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“ რევოლუციურ პროცესებს მხარს არასდროს ვუჭერდით. რევოლუციებმა საქართველოს კარგი არაფერი მოუტანა, ამიტომ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საარჩევნო გარემო და საარჩევნო კოდექსი შეიცვალოს, რათა ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით გახდეს შესაძლებელი. დარწმუნებულები ვართ, რომ საქართველოს კრიზისიდან მხოლოდ ეს გამოიყვანს, რევოლუცია კი საქართველოს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს.

ამავე დროს, მინდა, ვუთხრა ჩემს ოპოზიციონერ კოლეგებს, რომ წინასწარ დაანონსებული რევოლუციები არა მარტო ამ პარტიებისთვის, არამედ ზოგადად ოპოზიციური მოძრაობისთვის ხშირად კრახით მთავრდება. სწორედ წინასწარ დაანონსებულმა რევოლუციებმა და თარიღებმა გააძლიერა კიდევ უფრო სააკაშვილი და მეტი დანაშაულებრივი ნაბიჯების გადადგმის საშუალება მისცა მას. ამდენად, ვურჩევ ოპოზიციონერებს, ნუ იქნებიან სულსწრაფები, ნუ გაასწრებენ მოვლენებს და ნუ ეცდებიან აპოკალიფსური თარიღებითა და დაანონსებული რევოლუციებით რეიტინგის შექმნას. უმჯობესი იქნება, ამომრჩეველთან ვიმუშაოთ და ერთ დღეს – არჩევნების დღეს გავერთიანდეთ. გავერთიანდეთ არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის. სჯობს, ყველა პარტიამ საკუთარი თავი იქ წარმოაჩინოს და სწორედ არჩევნების გზით ერთად დავამარცხოთ სააკაშვილი.

**— ბოლო დღეებში ბევრი საქართველოშიც და უცხოეთშიც ჩვენს ქვეყანაში არაბული სამყაროს მოვლენების განმეორების შესაძლებლობაზე საუბრობს. თქვენი აზრით, არის თუ არა რეალურად მსგავსებები ამ მხრივ და რამდენად მოსალოდნელია რეალურად საქართველოში ახალი ტიპის რევოლუციის ექსპორტი?**

— სულაც არ მიზიდავს ეგვიპტეში და ლიბიაში განვითარებული მოვლენები და ის რთული ვითარება, რაც დღეს იქ არის. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება საქმეს აქამდე არ მიიყვანს. თუ ვითარება აქამდე მივა, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ხელისუფლების ბრალი იქნება. თუ სააკაშვილს არ უნდა, რომ მოვლენები ახლო აღმოსავლეთის მსგავსად განვითარდეს, თავის ქმედებებში ადეკვატური უნდა იყოს და ეს, პირველ რიგში, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას ეხება – ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებას, ქამრების შემოჭერას, ბიზნესის, მედიისა და სასამართლოს გათავისუფლებას. ეს პროცესები დროულად უნდა დაიწყოს. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს, რათა თავიდან ავიცილოთ მოვლენები, რომელსაც ჩემს ქვეყანას ნამდვილად არ ვუსურვებდი.

**— ბატონო დავით, გეგულებათ კი სადღეისოდ ქვეყანაში ოპოზიციური ძალა, რომელიც რევოლუციას რეალურად ჩაუდგენა სათავეში და მისი განხორციელების უნარი აქვს?**

— თუ ხელისუფლებამ ქვეყანა რევოლუციამდე მიიყვანა, ასეთი ძალა არც არის საჭირო. რევოლუციებს ხალხი თავად აწყობს. იგივე ეგვიპტეში და კიდევ უფრო მეტად ტუნისში ერთი წარმმართველი ძალა ან ლიდერი გამოკვეთილი არ იყო, მაგრამ პროცესი უმართავი გახდა. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ ვხედავთ, რომ სადღეისოდ ძალიან ბევრ პოლიტიკურ ძალას აქვს სურვილი და პრეტენზია, ამ პროცესს სათავეში ჩაუდგეს, თუმცა მთავარი აქ ისაა, რამდენად მოხდება რევოლუციურ განწყობამდე თავად საზოგადოების მიყვანა და რამდენად იქნება ხელისუფლება იმის მაპროვოცირებელი, რომ საზოგადოებამ სხვა გამოსავალი ვეღარ იპოვოს, თავგანწირული ნაბიჯების გარდა.

**— გაქვთ მოლოდინი, რომ საზოგადოება ამ ზომამდე მივა?**

— ჯერჯერობით არა, მაგრამ ფონი ნამდვილად მძიმდება, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა რთულდება. ხელისუფლების ქმედებებმა ძალიან ბევრი მოქალაქის იმედი გააცრუა როგორც ეკონომიკური, ისე სამართლიანობის და ქვეყნის გამთლიანების თვალსაზრისით, ამან კი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის უპერსპექტივობის განცდა შექმნა. არადა, მდგომარეობის სამართლიანი არჩევნების გზით შეცვლა არა მარტო შესაძლებელი, არამედ ერთადერთი სწორი გზაა. ჩვენ სწორედ იმისთვის ვიბრძვით, რომ ხალხისთვის ეს პერსპექტივა გაჩნდეს. თუ ეს პერსპექტივა ნათელი და მკაფიო იქნება, გარწმუნებთ, ყველა ადამიანი პრიორიტეტს სწორედ ხელისუფლების მშვიდობიან ცვლილებას მიანიჭებს და არა რევოლუციას.

**— თუკი მოვლენები მაინც რევოლუციური სცენარით განვითარდება, ვინ შეიძლება, აღმოჩნდეს მეორე დღეს ქვეყნის სათავეში? — ამ შემთხვევაში არა იმდენად კონკრეტულ პოლიტიკურ ფიგურას ან ძალას, არამედ ამ შესაძლო ძალის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას ვგულისხმობ. მაგალითად, დასავლეთს თუ ჰყავს სადღეისოდ საქართველოში ძალა, რომელსაც ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში დაეყრდნობა?**

— ვინ ვისი დასაყრდენია, – ამაზე საუბარი გამიჭირდება. ვფიქრობ, რევოლუციის მოხდენის შემთხვევაში თავად რევოლუცია განსაზღვრავს, რა იქნება ხვალ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ განვითარდება ქაოსი. ნუ წარმოვიდგენთ, რომ რევოლუციის შემთხვევაში ხელისუფლება ლამაზად შეიცვლება. რეალურად ამას სრული ეკონომიკური კოლაფსი მოჰყვება, თუ დღეს რაიმე სახელმწიფოებრივი ელემენტი გვაქვს, ის აუცილებლად ჩამოინგრევა, შეიქმნება უმძიმესი კრიმინოგენური ვითარებაც. ნუ გვავიწყდება, რომ რუსეთს ძალიან ბევრი ბერკეტი აქვს, რომ სრულიად უმართავი პროცესების პროვოცირება მოახდინოს და ქვეყანა პრაქტიკულად დაშალოს. ამდენად, მე ასეთ სცენარებს დიდი სიფრთხილით ვეკიდები. აქვე მინდა, გავიმეორო, რომ თუ ასეთი რამ მოხდა, მთავარი დამნაშავე მაინც ხელისუფლება იქნება, იმიტომ, რომ ვერც ერთი პოლიტიკური ლიდერი და პარტია ვერ მოახდენს რევოლუციას, თუ ხალხის სერიოზული მხარდაჭერა არ აქვს. ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქმე რევოლუციამდე არ მივიდეს. ვეცდებით, ხელისუფლებას შევაგნებინოთ, რომ პოზიციები მშვიდობიანი გზით დათმოს.

**ხათუნა გაგნიძე**

## დუღილი

# რევოლუციის მოლოდინში?..

(მეორე გვერდიდან)

არაბულ სამყაროში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ, უფრო ღია და პირდაპირი გახდა პარლამენტის ექსსპიკერის განცხადებები. „მთავარია, ჩვენ რევოლუციის მეშვეობით მივაღწიოთ სააკაშვილის გადადგომას და ჩავატაროთ ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები“, – ეს განცხადება თებერვალში, უკრაინაში ვიზიტით მყოფმა ნინო ბურჯანაძემ უკრაინულ გამოცემა „კორესპონდენტ.ნეტ“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. მოგვიანებით, საქართველოში დაბრუნებულმა ბურჯანაძემ განმარტა, რომ უკრაინელ ჟურნალისტთან საუბრისას ის მშვიდობიან რევოლუციას გულისხმობდა.

კიდევ უფრო პირდაპირი იყო „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი 2 მარტს, „ინტერპრესნიუსისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში. პარლამენტის ექსსპიკერმა მკაცრად გააკრიტიკა დიალოგის მომხრე ოპოზიციის ნაწილი. მისი თქმით, მათ „სააკაშვილს აჩუქეს ორი წელი“. ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ საქართველოში „მშვიდობიანი რევოლუცია არის სწორი“.

„დიახ, თუნდაც მშვიდობიანი რევოლუცია არის სწორი და როცა ჩვენ ვსაუბრობდით, რომ აქციების გარეშე შეუძლებელია ამ ხელისუფლების იძულება, ბევრი ოპოზიციონერი ლიდერი რადიკალად გვრაცხავდა და ამბობდა, რომ ჩვენ მზად ვიყავით, ქვეყნის დანგრევის ხარჯზე მოვსულიყავით ხელისუფლებაში. დღეს კი, ყველა „აჭიკჭიკდა“, რომ აქციების გარეშე არაფერი არ გამოვა“ – განაცხადა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ.

ბურჯანაძის თქმით, „საქართველოში, სამწუხაროდ, აუცილებლად განვითარდება მოვლენები სწორედ რევოლუციური სცენარით“, რადგან „სააკაშვილი, სამწუხაროდ, სხვა სცენარით მოქმედების შესაძლებლობას არ ტოვებს“.

პირველ მარტს, გაზეთ „რეზონანსში“ ირაკლი ალასანიასთან ინტერვიუ გამოქვეყნდა. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა განაცხადა, რომ სოციალურ პრობლემებზე აქციების ჩატარებას თავის მოვალეობად მიიჩნევს.

„სოციალური მდგომარეობა ყოველდღიურად იმდენად მძიმდება, კონკრეტულ საკითხებზე პროტესტი იმდენად იზრდება, რომ ჩვენი ვალია, ჩავატაროთ აქციები, რათა ხელისუფლება ვაიძულოთ, შეცვალოს აბსოლუტურად გაუაზრებელი პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში, ეკონომიკაში, ბიზნესის განვითარებისა და მართლმსაჯულების კუთხით“, – აღნიშნა ალასანიამ ინტერვიუში. თუმცა, იქვე, „თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი – მისი პოზიცია არ ნიშნავს, რომ მათი მოთხოვნა უნდა იყოს ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა. ალასანიას თქმით, ეს ხელისუფლების წისქვილზე მიუშვებს წყალს.

ალასანიას ეს პოზიცია არც ისე მოულოდნელია. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ყოველთვის ხაზგასმით ამბობდა, რომ ის, მხოლოდ უწყვეტი აქციების აზრს ვერ ხედავდა. თუმცა, იქვე იმასაც დასძენდა, რომ თემატურ აქციებს აზრი ყოველთვის აქვს და, შესაბამისად, მათი პარტია ასეთ თემატურ აქციებზე უარს არ იტყვის და შესაძლოა, რიგ შემთხვევებში მათ ინიციატორებადაც მოგვევლინონ.

არჩევნებით ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობის არ სჯერა და რევოლუციის აუცილებლობაზე საუბრობს ხელისუფლების გავლენებისგან თავისუფალი ექსპერტების ნაწილიც. მაგალითად, 26 თებერვალს გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ ექპერტ ირაკლი სესიაშვილთან. მასში, ჟურნალისტის კითხვაზე: – „რა გზა რჩება“? – ექსპერტი უპასუხებს: „ერთადერთი გზა, რევოლუციური ტალღით ხელისუფლების შეცვლაა, რაც, რა თქმა უნდა, დიდ რისკებთანაა დაკავშირებული“.

საქართველოს შესაძლო „ეგვიპტიზაციაზე“ საუბრის პარალელურად, ღრმავდება უნდობლობა და ნიჰილიზმი საარჩევნო გარემოს შეცვლის პროცესთან დაკავშირებით. მაგალითად დღეს, „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა, კახა კუკავამ აღნიშნა, რომ საარჩევნო სისტემის შეცვლაზე დიალოგში აზრს ვეღარ ხედავს და დარწმუნებულია, რომ საქართველოში სახალხო რევოლუცია მოხდება.

მმართველი გუნდის მაღალჩინოსნები ამბობენ, რომ საქართველომ ეს გზა უკვე გაიარა, 2003-ში. ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ დავით ბაქრაძემ განაცხადა. შესაძლოა, უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ეგვიპტესაც ეწვია...

მეორე მხრივ, ხელისუფლება ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო აქტიურად საუბრობს დიალოგის საჭიროებაზე. მაგალითად დღეს, დავით ბაქრაძემ ოპოზიციას ქვეყნის გარეთ მაგალითების ძებნის ნაცვლად, შიდა პრობლემებზე თანამშრომლობა შესთავაზა.

„ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ, მათ შორის, არასაპარლამენტო ოპოზიციასთან, იმ პრობლემების გადაჭრაზე, რომელიც მოსახლეობას აწუხებს“, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

რაც შეეხება პრეზიდენტს. მიხეილ სააკაშვილის კომენტარი ასეთია: „ახლო აღმოსავლეთში ცივილიზებული ხალხია, ისინი შეძლებენ სწორი გზის ძიებას. თავისუფლება ყოველთვის არის რისკთან დაკავშირებული, მაგრამ თავისუფლების არარსებობა ყოველთვის შეიცავს აფეთქების რისკს. ეს რევოლუციები მცენარეების დასახელებას იღებენ – ჟასმინი, კედარი... რაღაცნაირი ბრენდი შექმნა საქართველომ. რევოლუცია არ არის დროშების ფრიალი. მთავარი რევოლუცია ჩვენ დავიწყეთ რევოლუციის შემდეგ. მოდერნიზაციის ჩვენი გეგმა საბოლოოდ გაამყარებს ჩვენ მიღწევებს და მე ვიტყვი, რომ რევოლუციამ საბოლოოდ გაიმარჯვა“.

**მანანა აბაშიძე**



№ 42. შაბათი, 5 მარტი, 2011 წელი.

**ორიოდე** დღის წინათ კინოს სახლში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის „მთლიანი საქართველოს“ საზოგადოებასთან შეხვედრა გაიმართა.

**პარტიის ძირითადი მიმართულებების და სამოქმედო გეგმების შესახებ პოლიტიკური საბჭოს წევრმა ჯემალ შელიამ ისაუბრა.**

**დამოუკიდებელმა ექსპერტმა, სამხედრო დარგის სპეციალისტმა თეიმურაზ მიძაუტიძემ, პარტიასთან შეჯერებული პოზიციების გათვალისწინებით, საზოგადოებას გააცნო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებული სახელმწიფოს უსაფრთხოების კონცეფცია, წარმოადგინა საკუთარი შეხედულებები და შენიშვნები. პარტია „მთლიანი საქართველოს“ აზრით უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებულ უსაფრთხოების კონცეფციის პროექტში, რომელიც პარლამენტში ამ ეტაპზე განიხილება, მმართველი გუნდი მიზანმიმართულად უგულებელყოფს ქვეყნის რეალურ და მოსალოდნელ საფრთხეებს. პარტია მიიჩნევს, რომ ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში კომპეტენტური ადამიანები უნდა ჩაერთონ და მხოლოდ მათთან კონსულტაციების შემდეგ უნდა მიიღონ დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქნება არა სახელმწიფოს, არამედ ერთი კონკრეტული (დაინტერესებული ჯგუფის) მიერ სუბიექტურად გაწერილი დოკუმენტი.**

**პარტია „მთლიანი საქართველოს“ ლიდერის ვლადიმერ ვახანიას (რომელიც საერთაშორისო და ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ აღიარებულია პოლიტიკურ პატიმრად) ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ილია ლომიამ წარმოადგინა პატიმართან დაკავშირებული საქმის მსვლელობის დეტალები, პოლიტპატიმარზე ზეწოლის ფაქტები და ისაუბრა მის მიმართ უკანონოდ განხორციელებული მოქმედებების შესახებ (უჩვენეს ამ ფაქტების დამადასტურებელი ვიდეო მასალაც).**

**დღეს გთავაზობთ საუბარს პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრთან, სამართალმცოდნე ჯემალ შელიასთან.**

# მხოლოდ მართალ სიტყვას და მართალ საქმეს შეუძლია საქართველოს გადარჩენა

## უსამართლობას, ძალმომრეობას, ჩაგვრასა და ცინიზმს დაპირისპირებული ახალი პოლიტიკური ძალა

***– ბატონო ჯემალ, დღევანდელ საქართველოში ბევრზე ბევრი პარტია და გაერთიანებაა. რამ გადაგაწყვეტინათ ახალი პარტიის შექმნა, რომელსაც ფრიად პატრიოტული მაგრამ ფრიად ამბიციური სახელი – „მთლიანი საქართველო“ ჰქვია?***

– მართალს ამბობთ, საქართველოში პოლიტიკური პარტიების, მოძრაობების, მაღალფარდოვანი განცხადებების, მოწოდებების თუ ლოზუნგების დეფიციტი ნამდვილად არ არის და ეს დღეს სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში აპირობებს პოლიტიკურ პროცესებისადმი საზოგადოებაში არსებულ ინდიფერენტულ დამოკიდებულებას. ამ ფონზე, რთულია, ახლადშექმნილ პარტიის გეგმებზე და პერსპექტივებზე საუბარი, მაგრამ ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ჩვენს პარტიას „მთლიან საქართველოს“ აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მისი გამომწვევი მიზეზების, განვითარების პერპექტივების ახლებური ხედვა, საკუთარი მსოფლმხედველობა. და ამიტომაც ვთვლით, რომ გვაქვს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის მორალური უფლება. ჩვენთვის მთავარია არა პოპულისტური მოწოდებები და ლოზუნგები, არამედ ზნეობრივ იმპერატივზე დაფუძნებული, შედეგზე ორიენტირებული კონკრეტული საქმეები და მოქმედებები. ასეთი განცხადების საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ პოლიტიკურ პარტიას „მთლიანი საქართველო“ ნამდვილად გააჩნია ყველა საჭირო რესურსი დასახული მიზნის მისაღწევად.

***– „მთლიანი საქართველო“ აქამდე არ აქტიურობდა. რატომ გადაწყვიტეთ დღეს ასე ფართომასშტაბიანი შეხვედრა ქართველ საზოგადოებასთან?***

დღევანდელი ჩვენი შეხვედრა გამოწვეულია საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობით და მიზნად ისახავს აზრთა თავისუფალ გაზიარებას ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე და მისი გადაჭრის გზებზე. ჩვენი პარტია „მთლიანი საქართველო“ აცხადებს, რომ მზად არის ითანამშრომლოს ყველა ღირსეულ პოლიტიკურ ძალასთან და ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელთან.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულმა ოპოზიციური პარტიების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ბოლომდე ვერ უერთგულა ხალხს. ხოლო ხელისუფლებაში მოსულმა პარტიებმა ძალაუფლება გამოიყენეს ქონებისა და გავლენის სფეროების გადასანაწილებლად. შედეგად, საქართველომ გასული საუკუნის 90-იან წლებში მოპოვებული სუვერენიტეტი, ფაქტობრივად, დაკარგა და იგი დღეს თავისი არსით გახდა სხვა სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესების გამტარებელი პროტექტორული ქვეყანა. ასეთი სახელმწიფოსთვის კი საკუთარი ხალხის ნება და ინტერესები ყველგან და ყოველთვის მეორეხარისხოვანია.

ყველას კარგად გვახსოვს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მცდელობა, მიელწია ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის. ამას მოჰყვა იმ დროისთვის ერთადერთი ზესახელმწიფოს აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ცნობილი განცხადება დინების წინააღმდეგ მოძრაობის შესახებ, რამაც დასაბამი მისცა ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების იმდაგვარად განვითარებას, რომ ჯერ მოქალაქეთა კავშირი, შემდგომ კი მისი შვილობილი ნაციონალური მოძრაობა გახდა ქვეყნის ბატონ-პატრონი. დაირღვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო.

***– „ნაციონალებმა“ ქვეყანა ავაშენეთ და გავაბრწყინეთო, თანაც, ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულაო, თქვენ კი ერთმნიშვნელოვნად აკრიტიკებთ...***

„ვარდების რევოლუციამ“ დასაბამი მისცა ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის მეორე გადამწყვეტ ეტაპს, რომელიც განსაკუთრებული აგრესიულობითა და დესტრუქციული პოლიტიკით ხასიათდება. სწორედ ვარდების რევოლუციით დაიწყო ეროვნულ ცნობიერებაზე ღია და აშკარა შეტევა. ფაქტია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმა, უსაფრთხოების კონცეფცია, მოქმედი კანონები იწერება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ან ქვეყნის შიგნით, მაგრამ სამწუხაროდ ისევ გარეშე ძალების კარნახით და ამიტომ ბუნებრივია, ემსახურება არა საქართველოს ინტერესებს, არამედ მსოფლიო ბატონობის ჰეგემონურ გეგმებსა და მიზნებს.

რეფორმა, დემოკრატია, თავისუფლება, კანონის უზენაესობა და სხვა ფუნდამენტური ღირებულებების რეკლამირება სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ემსახურება ეროვნული ფასეულობების ნიველირების და მისი პატიოსანი, ჯანსაღი ნაწილის დათრგუნვას. ეს ე.წ რეფორმები დღეს საქართველოში, სამწუხაროდ, წარმატებით ხორციელდება. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელიც ფაქტობრივად დღითი დღე შორდება დასავლურ ცივილიზაციას და მიექანება ბოლშევიკურ-ნაცისტური მმართველობის ფორმებისკენ. ეს შეუმჩნეველი უკვე არ არის ევროპული ქვეყნებისთვის, და თუ, ამ ქვეყნების პოლიტიკური ლიდერები მხარს ღიად უჭერდნენ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას, დღეს ევროპელები აქცენტებს აკეთებენ ქართული სახელმწიფოს ინტერესებზე და არა სააკაშვილზე.

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება აცხადებს, რომ უმუშევართა რაოდენობა 16 პროცენტია, რეალურად კი უმუშევართა რიცხვი ქვეყნის მოსახლეობის 60 პროცენტს აღემატება და არაა გამორიცხული ეს სავალალო სტატისტიკა ათასობით უმუშევარი სამარშრუტო ტაქსის მძღოლის ხარჯზე კიდევ უფრო დამძიმდეს. ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომლის ხელისუფლებაც ხელოვნურად ქმნის ინფლაციის საფრთხეებს. მას არ გააჩნია ეკონომიკური ვარდნის შეჩერების და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა. ხელისუფლების არაკომპეტენტურობის შედეგია ის, რომ ქვეყანაში დღითი დღე უარესდება საინვესტიციო გარემო. შედეგად, თუ 2007 წლისთვის ინვესტიციები განისაზღვრებოდა 2 მილიარდი დოლარით, დღეს ეს მაჩვენებელი შემცირებულია მინიმუმ სამჯერ.

საქართველო ოდითგანვე აგრარული, მიწათმოქმედთა ქვეყანა იყო და დღეს იგი ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამო, საკუთარი მოსახლეობისთვის სამყოფ პროდუქციასაც კი ვერ აწარმოებს და მარტო კვებით ნაწილში 76 პროცენტითაა დამოკიდებული იმპორტზე.

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომლის ხელისუფლებასაც მხოლოდ წინასაარჩევნოდ ახსენდება დაკარგული ტერიტორიებისა და დევნილების არსებობა. ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც არათუ ზრუნავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და დევნილების დაბრუნებაზე, არამედ ეტაპობრივად დამატებით კარგავს ტერიტორიებს, ხოლო დევნილებს საკუთარ მხარეში, საკუთარ ოდაბადეზე დაბრუნების ნაცვლად დროებით თავშესაფრებიდანაც კი აძევებს.

ქვეყნის სათავეშია ხელისუფლება, რომელისთვისაც დემოკრატიაზე საუბარი მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებისთვის თვალის ახვევის მცდელობაა და ეს უკვე ნათლად დასტურდება საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებითა და დასკვნებით. **„ჰიუმან რაითს ვოჩის“** დასკვნებში საქართველოს ხელისუფლებას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს მსოფლიოს არადემოკრატიულ ქვეყნებს შორის. საქართველოში 2006 წელთან შედარებით პატიმართა რაოდენობა 50 პროცენტით გაიზარდა და 2009 წლის მონაცემებით შეადგინა 19504, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად განპირობებულია ბოლო ხანს დამკვიდრებული სასჯელის შეკრებითობის მახინჯი ფორმით.

ამ დოკუმენტში 5 გვერდი ეთმობა ხელისუფლების კრიტიკას და პირდაპირ მითითებულია, რომ ქვეყანაში ადგილი აქვს მანიფესტაციებს, შეკრებებისა და თავისუფალი აზრის შეზღუდვას. ხელისუფლების მხრიდან მედიასივრცეზე ზეწოლას და რომ ქვეყნის პენიტენციალური სისტემა აშკარად არ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს.

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომლის ხელისუფლებაც გამუდმებით საუბრობს დემოკრატიაზე, მაშინ როცა მას 21-ე საუკუნეში ათეულობით პოლიტპატიმარი ჰყავს. იმის დასტურად, რომ ამ ქვეყანაში ადამიანებს ეროვნული იდეების, თავისუფალი აზრის გამოხატვისა და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთებისთვის აპატიმრებენ, მხოლოდ ჩვენი პარტიის ლიდერის, **პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიას** მაგალითიც საკმარისია. პარტია“მთლიანი საქართველო“ თავად არის ამ ხელისუფლების დევნის, უკანონობის მსხვერპლი. **საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ პარტია „მთლიანი საქართველო“ ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც წარმოიქმნა უსამართლობაზე, ძალმომრეობაზე, ჩაგვრასა და ცინიზმზე პროტესტის შედეგად. იგი პასუხია ბოროტი ძალების გამოწვევაზე, ამიტომ ჩანასახშივე ატარებს სამართლიანობის კეთილშობილურ მუხტს... ახალი ტიპის, ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობამდე „მთლიანი საქართველოს“ დამფუძნებელი და იდეური ხელმძღვანელი ვლადიმერ ვახანია, მას შემდეგ მივიდა, რაც დარწმუნდა, რომ ქვეყანაში გამეფებული უსამართლობის წყარო არის არსებული ხელისუფლება, რომელიც მზადაა ოცდაათ ვერცხლად გაყიდოს სახელმწიფო ინტერესები.**

* * *

***– როგორი იქნება თქვენი პარტიის ბრძოლის მეთოდები! უპირველეს ყოვლისა, ახალ მეთოდებს, საქვეყნო პრობლემებისადმი ახალ მიდგომებს ვგულისხმობ.***

– როცა ვსაუბრობთ პარტიის ახლებურ მიდგომებზე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პარტიისათვის კატეგორიულად მიუღებელია ძალაუფლებისთვის ბრძოლის მაკიაველისტური შეხედულება – რომ მიზანი ამართლებს საშუალებას და **სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, „მთლიანი საქართველოს“ ბრძოლის მეთოდები პოლიტიკაში იქნება მხოლოდ ლეგიტიმური და ზნეობრივი. ჩვენ ვგმობთ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან**. სწორედ, ზოგიერთი პარტიის ბინძური პოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენების გამო გახდა საზოგადოება ინდიფერენტული პოლიტიკური პროცესების მიმართ. დარწმუნებული ვართ, მართალ სიტყვასა და მართალ საქმეში დევს ის უდიდესი რესურსი, რითაც მიიღწევა ქვეყნისა და საზოგადოებისთვის სასურველი შედეგები. ჩვენს პარტიას სწორედ ეს რესურსი გააჩნია და მასზე დაყრდნობით ფიქრობს ხელისუფლებაში მოსვლას.

**საქართველოში შექმნილი უმძიმესი, სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და მორალურ-ზნეობრივი ატმოსფერო სწორედ ამ ხელისუფლების პოლიტიკის შედეგია და იგი დროზე უნდა შეიცვალოს. სხვა შემთხვევაში კრიზისი უფრო გამძაფრდება და შეუქცევად ხასიათს მიიღებს!**

**საზოგადოებაში მძლავრია პროტესტის მუხტი, რომ დღეს ქართველი ერი ცერზე შემდგარი, ავაზასავით ნახტომისთვისაა შემზადებული და მხოლოდ შეძახილს ელოდება, ეს კი მხოლოდ ჭეშმარიტად ეროვნულ ძალას შეუძლია იტვირთოს. ჩვენი პარტია „მთლიანი საქართველო“ სწორედ ასეთ ძალად მოიაზრებს საკუთარ თავს და სხვა ეროვნულ პოლიტიკურ ძალებთან ერთად მზად არის აიღოს ისტორიული პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე.**

ჩვენი პარტია თავის საქმიანობაში იხელმძღვანელებს პატრიოტიზმის, ადამიანის თავისუფლების, კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის, ქართველი და საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეთნიკური ჯგუფის ინტერესების დაცვით, კანონიერების, წესრიგის, სამართლიანობის იდეებით. ჩვენ კატეგორიულად უარს ვიტყვით ეკონომიკური დახმარების ისეთ ფორმებზე, რომლებიც კრედიტებისა და ტრანშების სახით, ქვეყნის დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნის. უარს ვიტყვით ქვეყნის დამოუკიდებლობის დათმობის სანაცვლოდ დაფინანსებულ ექსპერიმენტებზე და ე.წ. რეფორმებზე.

***– „ნაციონალების“ რეფორმებიც არ მოგწონთ. გიდასტურებთ, რომ ეს ვაირეფორმები ხალხსაც არ მოსწონს. თქვენ რას და როგორ გააკეთებთ?***

– ჩვენ გავატარებთ ჭეშმარიტ რეფორმებს, რომელიც ერთი მხრივ სარგებელს მოუტანს ქვეყანას და მეორე მხრივ კი, მისაღები იქნება ევროპული ცივილიზაციისთვის. დღეს ე.წ. რეფორმის შემფასებლები მეტწილად ის პირები არიან, რომლებიც აფინანსებენ ამ რეფორმას. ჩვენს მოსახლეობას, ადგილობრივ კომპეტენტურ პროფესიონალებს, რეფორმაზე აზრის დაფიქსირების უფლება ჩამორთმეული აქვთ და მაინც, თუ ვინმე ამას გაბედავს, დემოკრატიის, თავისუფლების მტრებად გამოაცხადებენ და არ არის გამორიცხული, ციხეშიც აღმოჩნდნენ.

ცხადია, რეფორმა, რომელიც არ ემყარება ქვეყანაში არსებულ ვითარებას, არ ეფუძნება მეცნიერულ ანალიზს, არ ითვალისწინებს ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებას, არ ემსახურება ქვეყნის ჭეშმარიტ ინტერესებს.

ორი ათეული წელია, რაც უწყვეტი რეფორმის რეჟიმში ვცხოვრობთ. შედეგად მივიღეთ ეკონომიკის სრული განადგურება, მმართველობის დესპოტური ფორმა, ხელისუფლების თვითნებობა და პიროვნების სრული დაუცველობა. ნობელის პრემიის ლაურეატი ჟოზეფ სტირლიცი აკრიტიკებდა რა გარედან ნაკარნახევი რეფორმების მცდარ პრაქტიკას, წერდა: **თუ თქვენ ქვეყანას განიხილავთ, როგორც ბაყაყს და თქვენთვის სულერთია რა დაემართება მას, მაშინ ბატონებო, თქვენ მის სხეულში გაატარეთ ძაბვა და უყურეთ თუ რა შედეგი დადგება!**

საერთაშორისო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ არაკეთილსინდისიერ ექსპერიმენტებსა და რეფორმებს ეკონომიკისა და სამართლის სფეროში, ერთადერთ შედეგამდე, **ელიტარულ კორუფციამდე** მიჰყავს ქვეყანა. ჩვენს შემთხვევაში სწორედ ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე. წესით, რეფორმა ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდითა და თავისუფლების ხარისხით უნდა განისაზღვრებოდეს და არა ვიღაც დაქირავებულთა ფარატინა დასკვნა-შეფასებებით.

პარტია „მთლიანი საქართველო“ რეფორმების გატარების პარალელურად საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნევს გადაიხედოს უკანონო განაჩენები, რათა საპატიმროებიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები და სხვა უკანონო მსჯავრდებულნი. ხოლო პირები, რომელთაც ბრალი მიუძღვით მათ უკანონო მსჯავრდებაში, უნდა გასამართლდნენ კანონის მთელი სიმკაცრით.

ეკონომიკაში უნდა დამკვიდრდეს თავისუფალი კონკურენციის ჯანსაღი პირობები. სოფლის მეურნეობის სფეროში უნდა გატარდეს პროტექციონისტური პოლიტიკა. სახელმწიფომ თავისი მოქალაქე უნდა უზრუნველყოს ცხოვრების ღირსეული პირობებით. ჯანდაცვა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ნებისმიერი სოციალური ფენისათვის. პენსიის მინიმალური ზღვარი უნდა განისაზღვროს სამომხმარებლო კალათის ფასით. მედია უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი შეზღუდვების, სახელმწიფო ცენზურისა და წნეხისგან. მეზობელ ქვეყნებთან უნდა დამყარდეს კეთილგანწყობილი ურთიერთობა.

პარტიას მიაჩნია, რომ სახელმწიფო პოლიტიკაში მთელ ძალისხმევას გადავიტანთ ქვეყნის შიდა პრობლემების გადაწყვეტაზე, ხოლო საგარეო პოლიტიკა მთლიანად მოემსახურება მათი წარმატებით გადაჭრის ინტერესებს.

ასეთია პარტია „მთლიანი საქართველოს“ სამოქმედო გეგმის ძირითადი ასპექტები. კონკრეტული ხასიათის სამოქმედო პროგრამას კი, უახლოეს მომავალში გავაცნობთ ქვეყნის მოსახლეობას.

**– დიდი მადლობა გულწრფელი და პრინციპული საუბრისთვის.**

ესაუბრა
**სპარტაკ ქოზულია**

## ორი შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან

**პოეტებს, როგორც ყველა ადამიანს, წლები ემატებათ, მაგრამ ყველა სხვა ადამიანისგან განსხვავებით, არ ბერდებიან. განსაკუთრებით სულიერად. უფრო სწორად სიტყვა არ უბერდებათ. სიტყვა კი იგივე პოეტია, რა ხარისხისაც პოეტის სიტყვაა, იმ ხარისხისაა თვითონ პოეტიც... სწორედ ამ აზრმა ათქმევინა პოეტს, სიჭაბუკე და ლექსი ერთიაო... ქართველი მკითხველი ასეთ პოეტად, სიჭაბუკეშენარჩუნებულ პოეტად იცნობს დილარ ივარდავას, ახლა უკვე ორჯერ ოცდათხუთმეტი წლისას, რომ-**



**ლის მადლიან კალამს თითქმის ოთხი ათეული პოეტური კრებული ეკუთვნის. ბოლო რამდენიმე წელიწადი დილარ ივარდავა ცნობილი მწერლებისა და პოეტებისა (და არა მარტო ქართველთა) პორტრეტებზე მუშაობს. ამ სახის ერთი კრებული „ესეისტური ჩანახატები"-ს სახელწოდებით მკითხველმა ახლახან მიიღო.**

**ჩვენი რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ბატონ დილარს დაბადების 70-ე წლისთავს და მკითხველს ვთავაზობთ მის „ორ შეხვედრას" დიდ გალაკტიონ ტაბიძესთან.**

*ბედნიერებაა ჩვენისთანა პატარა ერს გალაკტიონ ტაბიძე რომ ჰყავს.*

*უსაზღვროდ მიყვარს გალაკტიონი და ეს კი – ჩემი ბედნიერებაა!*

*გალაკტიონ ტაბიძის მეუღლის ოლია ოკუჯავას ძმისწულ ბულატ ოკუჯავას(!) ინტერვიუ ამ ოციოდე წლის წინათ ერთ-ერთ იტალიურ ჟურნალში დაიბეჭდა, სადაც ის გალაკტიონ ტაბიძეს ჩვენი პლანეტის მე-20 საუკუნის უპირველეს პოეტად მიიჩნევს; ბულატ ოკუჯავამ მიზეზთა და მიზეზთა გამო ქართული ცუდად იცოდა. მაგრამ გამძაფრებული ინტუიციური ალღოს წყალობით სავსებით სწორი შეფასება მისცა გალაკტიონის სიდიადეს.*

*გალაკტიონზე ბევრი დაწერილა, მაგრამ უფრო მეტი დაიწერება, ვიდრე ადამიანებს პოეზია ეყვარებათ და ამ ცოდვილ მიწაზე ისულდგმულებენ ლექსის მკითხველები.*

*ჩემს სამუშაო ოთახში გალაკტიონის რამდენიმე სურათი ჰკიდია, ჩემი მეხსიერება სათუთად ინახავს პოეტის უამრავ ლექსს, რითაც თავს ვიწონებ კიდეც!*

*ბედნიერი ვარ იმითაც, რომ სიჭაბუკეში ორჯერ ძალზე ახლო მომიხდა გალაკტიონის გვერდით ყოფნა. ამის თაობაზე მინდა მოგითხროთ.*

# ვიდრე ადამიანებს პოეზია ეყვარებათ...

### ნოემბრის ერთ სუსხიან დილას...

გალაკტიონი პირველად გასული საუკუნის ორმოცდაჩვიდმეტ წელს ვნახე. ნოემბრის თვე იდგა. მწერალთა კავშირში საქართველოს მასშტაბით დამწყებ ავტორთა ერთკვირიანი თათბირ-სემინარი გაიმართა. მეც მიწვეული ვიყავი. სემინარის ბოლო დღეები იდგა. ჩვენ თითქმის ყველა ცნობილ პოეტსა და მწერალს შევხვდით, გარდა გალაკტიონ ტაბიძისა და კონსტანტინე გამსახურდიასი. როგორც ირკვევა, მწერალთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ თავი დაიზღვია, რომ ამ არაპარტიული რეპუტაციის მქონე მწერლებისგან რაიმე გაუგებრობას არ ჰქონოდა ადგილი... განსაკუთრებით უფრთხოდნენ გალაკტიონს, ალბათ მხედველობაში ჰქონდათ მისი ბოჰემური აღტკინებანი...

ბედმა მაინც გამიღიმა; ნოემბრის ერთ სუსხიან დილას მე და სულმნათი შუქრი მირცხულავა მარჯანიშვილის თეატრის წინ ვდგავართ და ვსაუბრობთ. უცბად შუქრი ხელს მკიდებს და უნივერმაღის გასწვრივ მდებარე ფარდულისკენ მახედებს.

– ა, ბიჭო, გალაკტიონი! ნახე, ნახე! – თქვა და ჩქარი ნაბიჯით მარჯანიშვილის ქუჩა გადაკვეთა. დავედევნე. ვფიქრობ: ნუთუ მართლა გალაკტიონია! ნუთუ ახლოს უნდა ვიხილო ეს ღმერთკაცი? არა და ნამდვილად ისაა! სურათებით ხომ მყავს ნანახი!

ჯიხურთან დგას ჯმუხი, მაღალი კაცი, საყელოაწეული გახუნებული პალტოთი... გაურკვეველი ფერის შარვალი მიწაზე დასთრევს, ჭაღარა წვერ-ულვაშს ქარი უწეწავს. თავზე ძველისძველი, შელახული შლაპა ახურავს. დგას ჯიხურთან და თეთრი ქაღალდის ნაგლეჯზე დადებულ ღვეზელს შეექცევა...

ვუყურებ და არ მჯერა, რომ ეს კაცი „მთაწმინდის მთვარის", „მე და ღამის", „მერის", „მესაფლავის", „ლურჯა ცხენების" შემქმნელია.

გალაკტიონმა ფული გადაიხადა, ბერხენი ირემი მზის ამოსვლას რომ აშტერდება, წამით ისე გარინდდა, მერე ადგილს მოსწყდა და მარჯანიშვილის ქუჩას აუყვა. მე და შუქრი აქამდე მონუსხულნი რომ შევცქეროდით, სწრაფად უკან დავედევნეთ. მუსიკალურ მაღაზიასთან „ფიროსმანის მეეზოვეს" ჯერ მიესალმა და შემდეგ ვეება ტორებში ჩაბღუჯა. ეტყობოდა, ძველი ნაცნობი იყო. გამომშვიდობებისას მჯიღი მეგობრულად მკერდზე მიაბრაგუნა. ამასობაში ჩვენ გალაკტიონთან ახლოს აღმოვჩნდით.

– აი, როგორი ყოფილა პოეტთა მეფე! – ჩავილაპარაკე. ო, როგორ მოგვინდა დალაპარაკება, მაგრამ ვინ გადალახავდა იმ კრძალვას და რიდს, რასაც პოეტისადმი განვიცდიდით. ისევ შორიახლო ავედევნეთ. მარჯანიშვილის მოედანზე საშაქარლამო მაღაზიაში შევიდა.



მშვენიერ გამყიდველ ქალიშვილებს მდაბლად დაუკრა თავი. პატარა ტორტი მოითხოვა. მიართვეს. მუყაოს სახურავი ახადა, დანით დააჭრევინა, ფული გადაიხადა და მაღაზიიდან დინჯად გამოვიდა. მოედანზე ხალხმრავლობა იყო. გალაკტიონმა მიიხედ-მოიხედა და ტორტი მწვანედ შეღებილ სანაგვე ურნაზე დადო!.

– მიირთვით, ძამიკოებო, მიირთვით, სულ ახალი ტორტია, ისიამოვნეთ! – მიმართა გამვლელ-გამომვლელთ! – მე და შუქრი პირდაღებულები შევყურებდით და ვერაფრით ვხსნიდით მის არაორდინარულ საქციელს, ვინ იცის, იქნებ ეს რაღაც პროტესტის ფორმა იყო არსებული საზოგადოების მიმართ, ან იქნებ... კაცმა არ იცის რას ფიქრობდა ამ დროს პოეტი. რა შუაში იყვნენ რიგითი მოქალაქეები... იქნებ ეს ნიღბის ის მხარე იყო, რომელიც პოეტისადმი ყურადღების მიქცევას ითხოვდა! ფაქტი ვიზუალურად აღვწერე და დღესაც არ ვიცი რას მიგვანიშნებდა მაშინ დიდი შემოქმედი...

...მარჯანიშვილის მოედნიდან გალაკტიონი პლეხანოვის პროსპექტს გაუყვა. წიგნის მაღაზიის ვიტრინასთან გაირინდა. ვიტრინიდან ხრუშჩოვისა და ბულგანინის მოზრდილი პორტრეტები იმზირებოდა...

– ჰე, ჰო, რას არ ნახავს კაცი, ძამიკო! – ხმამაღლა წარმოთქვა პოეტმა და სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა. მკვეთრად მოუხვია და... ისევ მარჯანიშვილის ქუჩას დაუყვა წიგნის სასახლისკენ... ალბათ, შინ მიდიოდა...

### სოხუმი, ზღვა...

გალაკტიონთან ჩემი მეორე და უკანასკნელი შეხვედრა ერთი წლის შემდეგ კვლავ შედგა. ორმოცდათვრამეტში, სკოლის დამთავრების შემდეგ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება. მისაღები გამოცდების პირველსავე (ქართული წერა) გამოცდაზე ჩავიჭერი. ასე რომ, აგვისტოს დღე ჩემთვის შავად გათენდა... გამახსენდა გალაკტიონის ოთხსტრიქონიანი ლექსი: „ერთხელ აგვისტოს ღამით, თოვლი მოვიდა შოვში, ყველა მიხვდება ამით რა სიბრძნეცაა თოვლში" – პირდაპირ მესადაგებოდა. დოცენტმა ვინმე ბასილაიამ (ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი) ორიანი მომაკრა თავისუფალ თემაში, რომელიც გალაკტიონის ლექსების ფონზე გავშალე...

ზუგდიდში წასვლა გადავიფიქრე. შორეულ ნათესავს თავშეფარებულმა გადავწყვიტე სოხუმ-ქალაქის საფუძვლიანად დათვალიერება. დრო არ მქონდა თუ რა?

და აი, ერთ დილას, როგორც იტყვიან, უკომპასოდ მივყიალობ სოხუმის შუაგულში, რუსთაველის ქუჩაზე; უცბად გალაკტიონის რიჟრაჟმოხვეული სილუეტი დავლანდე;

– ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა გალაკტიონია? – გავიფიქრე. გავჩერდი... რაც მიახლოვდება, ვრწმუნდები, ნამდვილად გალაკტიონია!

ყური მქონდა მოკრული, სოხუმის ფუნიკულიორის შემოგარენში გალაკტიონმა სახლი აიშენაო.

დინჯი ნაბიჯებით მიახლოვდება პოეტთა მეფე. მარჯვენა ხელით ვეება ტყავის პორტფელს მოაყანყალებს. ტანთ ჩესუნჩის თეთრი კიტელი, თეთრივე ტილოს ფეხსაცმელი აცვია. თავზე – ჭილის ქუდი. ჩაფართხუნებული თეთრი შარვალი...

– ისაა! დიდი გალაკტიონი! – ახლა სრული დაბეჯითებით ვეუბნები საკუთარ თავს. – აი, ბედის დაცინვა, ნამდვილი ირონია! მისმა ლექსებმაა რომ გამოცდებიდან გამომაბრძანეს. არადა, რაც თბილისში შორიახლო ვდიე, მისი წიგნები ჩემთვის უსაყვარლეს ჟრჟოლად იქცნენ; მეწადა მის ყოველ სტრიქონს, რითმას, მეტაფორას, შედარებას, ქვეტექსტს ჩავწვდომოდი. გამეგო იდუმალებით მოცული მისეული სამყაროს მშვენიერება და ღვთაებრიობა. დავმტკბარიყავი პოეტური აღმოჩენებითა და მუსიკალური ელვარებით.

ჩემმა „გამაბედნიერებელმა" ბასილაიამ ეტყობა, გალაკტიონისადმი ჩემს უსაზღვრო სიყვარულს, ჩემეულ ინტერპრეტაციებს ვერაფერი გაუგო, ან, იქნებ სიყვარულში ისე გადავაჭარბე, რომ ზომიერების კალაპოტიდან ამოვარდნილი აღმოვჩნდი. კომუნისტ ლექტორს პოეტის ჩემეული იდეალიზაცია არ მოეწონა, კაცია და გუნება! ეს ძალზე ხშირად ხდება გრამატიკის სპეციალიზაციით მომუშავე ფილოლოგებში;

მახსენდება:

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, ერთ-ერთ პატივცემულ პროფესორს დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ცალკეული წინადადებები მაგალითად მოჰქონდა, როგორც გრამატიკული ნორმების უხეში დარღვევა.

მე და გალაკტიონმა იმ „ერთხელ აგვისტოს" დღეში ორიანი მივიღეთ ვინმე ბასილაიასგან და აი, ბასილაიას გულის გასახეთქად და ჩემს გასახარებლად, შუა სოხუმში, ჩემს წინაშე დიდი გალაკტიონია.

დღესაც არ ვიცი რა ძალამ გადამალახვინა მოკრძალების ზღურბლი და მათქმევინა:

– დილა მშვიდობისა, ბატონო გალაკტიონ!

გალაკტიონი შეცბა, ნაბიჯი შეანელა, თვალი თვალში გამიყარა და მშვიდად მიპასუხა:

– ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალოს, ძამიკო! საიდან იცი გალაკტიონი რომ ვარ?! თუმცა, ოჰ, ოჰ, ალბათ სტუდენტი ხარ, არა? სტუდენტებს უყვართ თავიანთი გალაკტიონი! – თქვა და ეშმაკურად თვალები მოჭუტა. სახეზე ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა. და სადღაც შორეთში გადაინაცვლა. დიდ პოეტს სახეზე აშკარად ეტყობოდა, რომ „ღამენათევი და ნამთვრალევი" იყო. ჩანთა ხელიდან ხელში მოწაფესავით გადაინაცვლა და ნელი ტაატით გაუყვა ქუჩას, რომელიც სასტუმრო „რიცასკენ" მიემართებოდა. აჩრდილივით ავედევნე, იგრძნო, ჩაახველა, მომიბრუნდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– გაგრაში მივემგზავრები; იქ დიდი შეხვედრა მაქვს. ო, რა მშვენიერი ხალხია გაგრაში. სადღაც აქ იყიდება მატარებლის ბილეთები. წინასწარ ავიღებ, დროზე ჩავიდე, ხომ არ იცი ძამიკო, სად ყიდიან ბილეთებს?

სოხუმს ცუდად ვიცნობდი, მაგრამ საგარეუბნო მატარებლების სალაროები ქალაქის ცენტრში რომ არ იქნებოდა, ცხადია! გავჩუმდი და აღარც გალაკტიონს გამოუჩენია ინტერესი ბილეთებზე.

გალაკტიონი ქალაქის საბჭოს გვერდით მდებარე ბაღში შევიდა. ერთხანს დასაჯდომ ძელსკამს ეძებდა, უცბად გაირინდა.

– ოჰ, ოჰ, რა ვარდებია, რა ტიტები, რა ოლეანდრები; ეს კიდევ ჰორტენზიები... ძალიან მიყვარს ყვავილები, – ახლაც ყურში ცხადად მესმის გალაკტიონის ხმა. მერე რაღაცაზე მალარმე და ბოდლერიც ახსენა. ანაზდად ქვიშის გროვას წაჰკრა ფეხი და მომიბრუნდა:

– წაკითხული გექნება, ძამიკო, ჩემი „არტისტული ყვავილები", შინ რომ მიხვალ, კიდევ ერთხელ გადაიკითხე!

სამწუხაროდ, იმხანად „არტისტული ყვავილები" არ მქონდა წაკითხული. ეს წიგნი თვალითაც არ მქონდა ნანახი. ოციანი წლების ამ უნიკალური წიგნის არსებობის შესახებ გაგონილი კი მქონდა.

– იცი ძამიკო, ერთმა დიდმა სწავლულმა რა თქვა:

– როცა კანონები ტყვიამფრქვევებივით კაკანებენ, მუზები სდუმანო, – თქვა და უცბად გაჩუმდა.

ვერაფერს მივუხვდი, მაგრამ გუმანით ვიგრძენი, რომ რაღაც მნიშვნელოვანს გულისხმობდა...

ბაღიდან სანაპიროსკენ გავედით. ვგრძნობ, რომ გალაკტიონისთვის ზედმეტი ბარგი ვარ, მაგრამ ვერა და ვერ ვცილდები მაგნიტივით. დილაა, მაგრამ სანაპიროზე ხალხი ბლომად ირევა. რა თქმა უნდა, ეს ჩამოსული მეკურორტენი, მეტწილად რუსები არიან.

გზა-გზა შოკოლადისფერ ხალხს ვხვდებით. ჯერ კიდევ მზემოუკიდებლებსაც. უცბად ხაკისფერშარვლიანი, თეთრთმიანი რუსი შეეჩეხა:

– ნუუუ, ზრდავსტუი, ბატონო გალაკტიონ, დარაგოი მოი, კაკ ვაშე სამოჩუსტვიე? – გალაკტიონი გაირინდა. ერთხანს უყურა, უყურა და მერე მხურვალედ მიესალმა.

ნაცნობი სახეა, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე... თითქოს ტიხონოვს ჰგავდა; რა ვქნა, გალაკტიონს ხომ ვერ შევეკითხები. ის კი გავიგონე, გალაკტიონმა „ნიკოლაი" უთხრა. რუსი არ ცხრება. ქართველ პოეტებს: სიმონ ჩიქოვანს, ირაკლი აბაშიძეს, კონსტანტინე ჭიჭინაძეს ახსენებს... დგას გალაკტიონი ევერესტივით და უსმენს რუსის სიტყვაუხვობას. განშორებისას რუსმა გალაკტიონს რჩევა მისცა:

– მზის აბაზანები მიიღე, სასარგებლოა, შენ გეტყობა ზღვას არ ეკარებიო!

რუსს თავი ძლივს დააღწია. თავისთვის ჩაილაპარაკა: – უბედურებაა ჩვენს თავს, ძამიკო, ყველა გადამთიელი ჭკუას როგორ გვასწავლის?!

დადგა ჩემი თავიდან მოშორების ჟამიც. – შენც კარგად მეყოლე, სტუდენტო! თავს გაუფრთხილდით, ქართველებო! – თქვა და ჩქარი ნაბიჯით დამშორდა... მე გალაკტიონს თვალს ვერ ვაშორებდი. ის კი იდგა, როგორც დიდებული მშვენება, წვერ-ულვაშს ზღვიდან მონაქროლი ნიავი უწეწავდა. იდგა ზღვის სტიქიის პირისპირ პოეზიის დაუმცხრალი სტიქიონი, საოცარი, განუმეორებელი გალაკტიონი და ზღვა, ზღვა და გალაკტიონი!

**დილარ ივარდავა,**
გალაკტიონ ტაბიძის
პრემიის ლაურეატი

## წიგნი

# „თოლევში ცრემლ გამიშრა, აი შვილო...“

**„გმირებად არ იბადებიან,“ ამ სახელწოდებით გამოიცა წიგნი, რომელიც საქართველოსთვის თავდადებულ ჰერეთელ მებრძოლს ერეკლე ყულოშვილს ეძღვნება. წიგნის ავტორია ერეკლეს მამა მიხეილ ყულოშვილი.**

2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალის მისადგომებთან გმირულად დაიღუპა მეოთხე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მეთაური, კაპიტანი ერეკლე ყულოშვილი. წიგნი მის ცხოვრებასა და თავდადების ამბავს მოგვითხრობს. ამაღელვებელია მშობლის მიერ მონათხრობი, ინგილოურ კილოზე დაწერილი ლექსებით გადმოცემული შვილის დაკარგვით გამოწვეული უსაშველო სევდა.

**„რათა არ მენატრევი,**
**ნანდომ შვილო,**
**თოლევში ცრემლ გამიშრა,**
**აი შვილო...“**

აგვისტომ მაშინ მთელ საქართველოს ჩააცვა ძაძები... რჩეულმა ვაჟკაცებმა თავი შესწირეს სამშობლოს. ჰერეთში, კახში გაზრდილი 30 წლის ერეკლე ყულოშვილიც მათ შორის იყო. ერეკლე სიცოცხლეში გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით იყო დაჯილდოებული, სიკვდილის შემდეგ – გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა. კაპიტანს სიკვდილმა მაშინ მიუსწრო, როცა მისი მეუღლე ნინო კანდელაკი შვიდი თვის ფეხმძიმე იყო. ნიკოლოზი მამის დაღუპვიდან ორი თვის შემდეგ დაიბადა.



ყულოშვილების ისტორიულ და საამაყო გვარს ახლა 2 წლის ნიკოლოზი აგრძელებს. ყულოშვილების დვრიტა 1600 წლიდან იწყება. ჰერეთს მრავალი ცნობილი ადამიანის, სასულიერო პირების გმირობა და რწმენისათვის თავგანწირვა ახსოვს, მათ შორის იყვნენ ყულოშვილები, თუნდაც მღვდელ მიხეილ ყულოშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საინგილოში ქრისტიანობის აღდგენა-გაძლიერებაში.

კახის ეკლესიის ეზოში პანთეონია, რომელსაც სხვა დიდ ჰერეთელ მამულიშვილთა სახელების მსგავსად, ერეკლე ყულოშვილის სახელიც შეემატება. ოჯახმა წერილით მიმართა უწმინდესსა და უნეტარესს კახის წმინდა გიორგის სახელობის მოქმედი ეკლესიის ეზოში მდებარე პანთეონში ერეკლე ყულოშვილის მემორიალის აღმართვის თაობაზე. ხოლო ერეკლეს დამ თინათინ ჭაბუკიანმა აგვისტოს ომში დაღუპულ 170 გმირს ფილმი „ცარიელი სახლი“ მიუძღვნა. ამ ფილმმა მართლმადიდებლური ფილმების მეოთხე საერთაშორისო კონკურსზე „წმინდა ანდრიას ჯვარის“ პირველი პრიზი მოიპოვა.

„დაუშვებელია მკვლელობა, მაგრამ მტრის მოკვლა ბრძოლის ველზე კანონიერიცაა და შექების ღირსიც,“ – წერდა ღირსი ათანასე დიდი. სწორედ ერეკლე ყულოშვილის არტილერია იყო, მტერმა პირველ დღეებში რომ ვერ შეძლო ქართულ მიწაზე შემოჭრა. ერეკლეს გული სტკიოდა, რომ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგული იყო. მან გმირულად იბრძოლა და დიდ წინაპართა მსგავსად აღესრულა.

**„მტრების ჯინაზე**
**გავაგრძელებ მამის გზას,**
**სამშობლოს დასაცავად**
**მიწყივ ვიყო მზად...“**

ამ სულისკვეთებით იზრდება ნიკოლოზ ყულოშვილი. მიხეილ ყულოშვილის ეს წიგნიც დიდ ტკივილთან ერთად დიდ სასოებასაც გვაზიარებს – სიცოცხლე გრძელდება, ღირსეულ ქართველთა წყალობით საქართველო ჯერ კიდევ ფეხზე დგას...

**თამარ კახელიშვილი**

## თითქმის ნატურიდან

**იყო და არა იყო რა! „არა იყო რა“, აბა, ერთი, საცოდავი კურდღლის ცხოვრება, რა იქნებოდა, რო?**

ცხოვრობდა ეს ყურცქვიტა ერთ უბედურ ქვეყანაში და თუ სადმე, ვინმე, გამრჯვე გლეხის ბოსტანში კომბოსტოს ან სტაფილოს ნახავდა, იპარავდა და ამით ედგა სული. ხანდახან, ნაწვიმარზე, აქაიქ ბალახიც ამოყოფდა მიწიდან თავს და იმასაც მოკიკნიდა ცოტას და, ეგ იყო. არადა, ცხოვრება ხომ უნდოდა? უნდოდა! ჰოდა, რომ უნდოდა, როდემდე უნდა ვიყო ასე გაჭირვებულადო, გაიფიქრა და ლომების ქვეყანაში გადაწყვიტა გამგზავრება. ლომებს ანტილოპას ხორცი უყვართ და მე ვინ შემჭამს, ჩემი ჩიჩია ღოჯში ჩასარჩენადაც არ ეყოფათო, ლომებს!

გაიფიქრა და, წავიდა კიდეც!

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მოულოდნელად მგლების ქვეყანაში ამოყო თავი. ამოყო და ძლივს გადაურჩა შეხრამუნებას. მაგრამ იმდენი იეშმაკა, იმდენი იკუკუმალავა, რომ თავი დააღწია და გზა განაგრძო. განაგრძო, მაგრამ მურტალია ეს წუთისოფელი, ახლა ტურებისა და მელიების ქვეყანას მიადგა. მიადგა და, ბევრი რომ არ გავაგრძელო, აქედანაც, როგორც იქნა, გამოძვრა.

ამასობაში, დროც გასულიყო, მუხლებში ძალა გამოლეოდა და, ის იყო, სულთმობრძავმა ძლივს ჩააღწია ლომების ქვეყანაში.

– ვინ ხარ, შენ? – ჰკითხეს ლომებმა.

– ერთი საწყალი კურდღელი ვარ, ბატონო!.. ჩემს ქვეყანაში კინაღამ სული გამძვრა შიმშილით და ვიფიქრე, ჯობია ლომებს შევაფარო თავი-მეთქი!.. თქვენი ტაბაკიდან გადმოყრილი ნამცეცებიც მეყოფა, ბატონო, მე!.. ამიტომაც წამოვედი! – წაილუღლუღა ყურებჩამოყრილმა ყურცქვიტამ.

– წამოხვედი?

# ემიგრანტი

– ჰო, წამოვედი!.. გზაში მგლებმა და ტურებმა შემჭამეს კინაღამ და მაინც ჩამოვედი!.. თქვენი იმედი მაქვს, ბატონო!

სიცილით მოკვდნენ ლომები.

– შე საცოდავო, ასეთ გაძვალტყავებულს ვინ შეგჭამდაო?.. – ჰოდა, აბა, ვნახოთ რა შეგიძლიაო!

– რა შემიძლია და, ფეხის მტვერს მაინც ჩამოგბერტყავთ, ბატონო!.. – მიუგო კურდღელმა.

– ო, ო, ფეხის მტვერი ჯერ არავის ჩამოუბრეტყია ჩემთვის!.. საინტერესოა, საინტერესო! – თქვა ლომმა და თავის ვეზირებს დაუძახა:

– ამიერიდან ლომის რძე არ მოაკლოთ ყურცქვიტას!

მას მერე, მართლაც, არ მოკლებია ყურცქვიტას ლომის რძე. ის კი არა, ხანდახან, ჩიტის რძესაც უსინჯავდა გემოს.

მოიკეთა კურდღელმა, გასუქდა და გაიბესტა და, ამ „გაბესტილზე“ გაახსენდა თავისი ცოლ-შვილი, თავისი ქვეყანა, მაგრამ ფიქრი ერთი იყო და, ლომის რძეს დაჩვეულმა, სამშობლოში დაბრუნება გადაიფიქრა.

გავიდა ხანი და, არ ვიცი რა ეტაკა იმ ლომს, დახედა ყურცქვიტას, ფეხის მტვერს რომ უბერტყავდა, დახედა მის ჩასუქებულ გავას და ნერწყვი მოადგა... ეგ იყო და, დაუძახა თავის ნაზირ-ვეზირებს და უბრძანა:

– აბა, გაინძერით!.. ამ კურდღლისგან ჩიხირთმა მომიმზადეთ!..

– არა, ბატონო, ნუ იზამ მაგას!.. ჩემი ხორცისგან მოხარშული ჩიხირთმა ვის გაუგონია?.. – წაივიშვიშა ყურცქვიტამ, მაგრამ „ლომის სიტყვა კანონია, აღარ უნდა ლაილაიო“, წაიღიღინეს ვეზირებმა და...

არ ვიცი, ლომს მოეწონა თუ არა, კურდღლის ჩიხირთმა, მაგრამ ნაზირ-ვეზირებმა კარგად რომ მოულხინეს, ეს ამბავი ჩიტმა ჩამომიტანა ამას წინათ!

აბა?!

**მორალი:** შენი ქვეყნის სტაფილო გერჩივნოს სხვის ჩიხირთმას...

**ზაურ ფიფია**

## ახალი რვეულიდან

### გურამ გომართელი



# ეს ცხოვრება ასეთია, ასეა და რას იზამ!..

**შენ რომ მადლიანი სიტყვები მითხარი**
**აქამდე გამომყვა, ახლა მინელდება,**
**ჩქარა მომაშველე რაიმე იმგვარი,**
**თორემ სული კვნესის, სევდა**
**მიბევრდება.**

**იქნებ არც მეკუთვნის, შენ მაინც მითხარი,**
**ეს არ იკრძალება და არც იბეგრება,**
**ამით შენც ხომ ხდები ცრემლივით**
**ცინცხალი,**
**ნუღარ აგვიანებ, მე შენ იმედზე ვარ:**
**ყველა დამცველია ქრისტეს ათი მცნების,**
**ვისაც სურვილი აქვს კაცის გახარების!**

* * *

**ბევერ მხრებზე შემოგისხამს**
**ტკივილების ფარაჯა,**
**ალბათ, კართან უნდა შემხსნას**
**იქაურმა დარაჯმა.**

**ნაძალადევ ღიმილს არ ჭამს**
**შენი ბედის მწერალი,**
**გწამდეს, მაგ გზას გაუდგება**
**შენი დამაწყევარი.**

**ჯერ კი ზიდე საზიდავი,**
**ეს ამ სოფლის წესია,**
**შენ ცხვარად ხარ გაჩენილი,**
**მგელი შენი მწყემსია.**

**სანუგეშოდ ისღა გრჩება,**
**ზურგით ცოდვას არ ზიდავ,**
**ეს ცხოვრება ასეთია,**
**ასეა და რას იზამ!**

### სოფელში, დეკემბერში

**რა ვქნა, არ მიყვარს**
**ჩემი ეზოს ნახვა ზამთარში,**
**არც დავაქარი, მოზუზუნე**
**ავად სამ ხმაში.**

**ბელტადქცეული, უცვარნამო**
**მდელო არ მინდა,**
**ცრემლი რომ ასდის**
**შეშინებულ, დამზრალ ვაზიდან.**

**უფოთლო ხე და**
**ჩრდილნაკლული მუხა არ მინდა,**
**რომ ვერ გაიგებ,**
**მზე თავს გადგას თუ მზე ჩავიდა.**

**უხმაურო და უყიჟინო**
**კუთხე არ მინდა,**
**„მაინძელოო“, რომ არ ისმის**
**ეზოს გაღმიდან.**

**ვიცი, ბატონო, რომ**
**ბუნება მბრძანებელია,**
**მაგრამ არ მიყვარს,**
**როცა სითბო საძებნელია.**

### ჯანსუღ ჩარკვიანს

**ვიცი, რომ მწყურვალს მიართვი წყალი,**
**სიტყვით და ლექსით ბევრი შეძელი,**
**ვიცი, არასდროს არ შერყეულა**
**„კედელი, შენი რწმენის კედელი“.**

**მე ვიცი შენი ალი და კვალი,**
**ცხოვრების გზაზე რაც შეგხვედრია,**
**გკარნახობს შენი გული და თვალი –**
**„თავისუფლება ლომთა ხვედრია“.**

**შენ შენი სიტყვა თქვი სასიტყვეთში,**
**შენ სხვა იერი მიეცი „ცისკარს“,**
**ღმერთს შეჰღაღადებ – დაიფარეო**
**„ჩემი ქვეყანა შინაურ მტრისგან“.**

**შენი რქა ხნავს და თავის კვალს ავლებს**
**და შენი ოფლი იღვრება ხნულზე,**
**ღიმილით ხვდები შენ ყველა გამვლელს,**
**„დაგიბნევია მიხაკი გულზე!“**

## უსიტყვოდ



## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

- 1902 წელს ინჟინერ ბალინსკის პროექტს მოსკოვის ქალაქის დუმამ ფანტასტიკური უწოდა, ავტორი დემონს შეადარა და დახმარებაზე უარი უთხრა. ეს პროექტი გახლდათ მეტროპოლიტენის პროექტი.
- პირველ ანბანად შეიძლება ბერძნული მივიჩნიოთ, რადგან მასში ხმოვნები შედიოდა.
- გაზეთ „ისკრის“ ყველა ნომერზე მითითებული იყო, რომ ის ლენინმა დააარსა, მაგრამ ძალიან ცოტამ იცის, რომ გაზეთის სპონსორი დიდვაჭარი და მეცენატი სავა მამონტოვი იყო.
- ინგლისელი ჩარლზ ოსბორნი 1922-დან 1992 წლამდე განუწყვეტლივ ასლოკინებდა, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ რვა შვილი ჰყოლოდა.
- საფრანგეთში ხუმრობა „ლუვრში მივდივარ, ხომ არაფერი გინდა?“ დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც ვინჩენცო პერუჯამ ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“ მოიპარა.
- მეორე მსოფლიო ომის დროს ყველა ფრანგული ტანკი, რომლებიც ფირმა „რენოს“ გამოშვებული იყო, გერმანელებმა ჩაიგდეს ხელთ.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# დაივიწყეთ სააკაშვილი

**ამ დღეებში ერთ-ერთმა წამყვანმა ახალი ამბების სახელმწიფო სააგენტომ მოაწყო ვიდეოხიდი საქართველოს ახალ რუსულენოვან ტელეარხთან „კავკასიის პირველი საინფორმაციო“. ჩვენი მხრიდან ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს წამყვანმა რუსმა პოლიტოლოგებმა,საქართველოს მხრიდან კი – ტელეარხის გენერალურმა დირექტორმა რობერტ პარსონსმა და საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ეკატერინე კოტრიკაძემ.**

მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიების მოსკოველმა მონაწილეებმა სერიოზულად გააკრიტიკეს, მათი აზრით, „ანტირუსული“ პროექტი, საქართველოს მხარე მთელი ძალით იყენებს ვიდეოხიდს არხის ტრიალისთვის, რომლის მიზანდასახული აუდიტორია უწინარეს ყოვლისა არის რუსეთის ჩრდილოეთი კავკასიის მოსახლეობა.

„სააკაშვილი – ეს დემონია!“ ამ ფრაზის ავტორი, ცნობილი პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი სულაც არ აპირებდა ხუმრობას. ის იყო აბსოლუტურად სერიოზული, როდესაც ამ ფრაზას ამბობდა ტელეხიდის დროს. „დემონს აქვს თავისი გეგმა. და ამ გეგმით თქვენ ყოველთვის დამარცხდებით. უარი თქვით გარიგებაზე კავკასიურ დემონთან“, – განაცხადა ბატონმა მარკოვმა და ურჩია თბილისელ ოპონენტებს წაიკითხონ გოეთეს „ფაუსტი“.

იმ დროის განმავლობაში, რაც მე საქართველოსთან ვმუშაობ, ბევრ ათეულ ადამიანს შევხვდი, რომლებიც კარგად იცნობენ მიხეილ სააკაშვილს მისი ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპზე. და მათი საუბრებით ჩამომიყალიბდა მყარი რწმენა, რომ ეს ფიგურა სულაც არ არის გოეთეს მასშტაბისა. უფრო მეტიც, თავად სააკაშვილი, ვფიქრობ, ბატონი მარკოვის სიტყვებისგან აღტაცებაში მოვიდა. მისი ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომლის სიტყვებით, თავისი კარიერის გარიჟრაჟზე მომავალ პრეზიდენტს უყვარდა სიტყვების გამეორება: „არ აქვს მნიშვნელობა, გაქებენ თუ გლანძღავენ პრესაში. მთავარია, რომ შენს შესახებ საუბრობდნენ“.

რატომ არის, რომ დამარცხებული მხარის ლიდერის ფიგურა იწვევს ასეთ წმინდა მღელვარებას? კაცისა, რომლის შეშინებული სახეც იხილა მთელმა მსოფლიომ, ვის თვალწინაც ერის ლიდერი სამარცხვინოდ გარბოდა შეშინებული საკუთარი აჩრდილისგან. ასეთი რამის შემდეგ პოლიტიკოსები ჩვეულებრივად არ აღდგებიან ხოლმე, მაგრამ სააკაშვილმა მოახერხა, რომ არა მხოლოდ აღმდგარიყო, არამედ გამოეცხადებინა კიდეც თავისი თავი გამარჯვებულად. მეშინია, რომ მალე იგი დაარწმუნებს თავის გამარჯვებაში არა მხოლოდ ქართველ ურა-პატრიოტებს, არამედ რუსეთის ინტელექტუალებსაც. ამჟამად საქართველო მისი ხელმძღვანელობით გადადის კონტრშეტევაზე, თანაც მისი ქვეყნის მიზანი უკვე მთლიანობაა. შემოდგომით საქართველოს ხელისუფლებამ დააწესა უვიზო რეჟიმი რუსეთის ჩრდილოეთი კავკასიის მცხოვრებლებისთვის. საქართველოს პარლამენტმა დაიწყო მუშაობა საკითხზე ჩერქეზების გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით.



საზღვარგარეთელი ჩერქეზული ორგანიზაციები უკვე მოითხოვენ სოჭის ოლიმპიადის გაუქმებას იმ საბაბით, რომ იგი უნდა გაიმართოს იმ ადგილებში, სადაც თითქოსდა ადგილი ჰქონდა სწორედ ამ გენოციდს. და სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაციის მორიგი წლისთავის დროს, 23 თებერვალს, თბილისში გაიმართა ვაინახებისა და საქართველოს საზოგადოებრივ მოღვაწეთა კონფერენცია. განსაკუთრებით არავინ გაოცებულა, რომ დროშებს შორის, რომლებსაც აფრიალებდნენ კონფერენციის მონაწილეები, იყო დამოუკიდებელი იჩქერიის დროშა.

ცხადია, რომ „კავკასიის პირველი საინფორმაციოც“ ჩაფიქრებულია, როგორც პროექტის ნაწილი – გადააქციოს საქართველო კავკასიელ ხალხთა მიზიდვის ახალ ცენტრად. საქართველოში კავკასიელებმა უნდა მოიპოვონ დაცვა რუსეთის „იმპერიული ტანჯვისგან“. თბილისი პერსპექტივაში შეიძლება გახდეს ერთიანი კავკასიის დედაქალაქი. ეს იდეა ახალი როდია: გავიხსენოთ თავის დროზე შევარდნაძე როგორ ელოლიავებოდა კავკასიური სახლის პროექტს. მაგრამ არასოდეს არ ყოფილა მისი რეალიზაციისთვის ზრუნვა ასე აგრესიული. მართლაც, თუ ვინმეს ჯერ კიდევ შემორჩა ეჭვი „პირველი კავკასიურის“ ამოცანებთან დაკავშირებით, იგი გაფანტა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და მთავარმა „რუხმა კარდინალმა“ ვანო მერაბიშვილმა, რომელმაც არხთან დაკავშირებით ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ჩვენ უნდა დავიცვათ თავი. რუსეთს უნდა გაეთვალისწინებინა ეს, როდესაც საქართველოში ტანკები შემოჰყავდა“.

ესე იგი, „კავკასიის პირველი საინფორმაციო“ ჩაფიქრებული იყო, როგორც საქართველოს „სიმეტრიული პასუხი“ რუსეთის მიერ აფხაზი და სამხრეთოსეთელი სეპარატისტების მხარდაჭერაზე. ამიტომ ტელეარხის გენერალური დირექტორის რობერტ პარსონსის განცხადებამ, რითაც მან მიმართა ტელეხიდის მონაწილეებს მოსკოვში: „მე არ ვარ თქვენი მოწინააღმდეგე!!“ – ბევრი ვერავინ დაარწმუნა. ტელეარხი – ეს არის „პასუხი ტანკებზე“, მერაბიშვილმა ეს აზრი ნათლად წარმოაჩინა. ეს არის ომის იარაღი. „ტელეარხი – ეს არის ავიამზიდი, – მიაჩნია პოლიტოლოგ იური კრუპნოვს. – სისულელეა ლანძღო ავიამზიდი იმისთვის, რომ იგი მთელი სვლით მოდის თქვენსკენ და ემზადება სარაკეტო ბირთვული დარტყმის მოსაყენებლად. უბრალოდ, საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება“.

ოქროს სიტყვებია. და პირველი ასეთი ზომა, როგორც ეს წარმომიდგენია, უნდა იყოს სრული უარის თქმა მოწინააღმდეგის პიარაქციებში მონაწილეობაზე. ჩემთვის ძნელია იმის გაგება, თუ რითი ხელმძღვანელობდა რუსეთის სახელმწიფო ახალი ამბების სააგენტო, როდესაც აწყობდა არსებითად არხის პრეზენტაციას, რის შესახებაც მანამდე ტელეხიდის მონაწილეებმა თითქმის არაფერი იცოდნენ. სინამდვილეში უკეთესი ტაქტიკა იქნებოდა სრული უგულებელყოფა, ვინაიდან აქ – როგორც გამომძიებლის კაბინეტში: ნებისმიერი თქვენი სიტყვა გამოყენებული იქნება თქვენს წინააღმდეგ.

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

## დედამიწის ზურგზე

**ჰოსნი მუბარაქის შვილმა მიიღო საწამლავი, როდესაც შეეცადნენ მისგან მილიონების კონფისკაციას**

გამალ მუბარაქი შეეცადა თავი მოეწამლა, როდესაც ქაიროში იმყოფებოდა. სამართალდაცვის ორგანოები აპირებდნენ ფულადი სახსრების კონფისკაციას მისი რამდენიმე უცხოური საბანკო ანგარიშიდან. გამალ მუბარაქი ლამის მესამე ახალგაზრდა კაცი გახდა უკანასკნელ პერიოდში, ვინც შეეცადა თავის მოკვლას წარსულში თავიანთი გავლენიანი მამების პრობლემების გამო.

* * *

**„ბერლინერ ცაიტუნგი“: აშშ აწყობდა სამედიცინო ექსპერიმენტებს გუანტანამოს პატიმრებზე**

ამის დადასტურებად გაისმის კუბაში ამერიკის ბანაკში მყოფი პატიმრის 28 წლის მურად კურნაცას სიტყვები. თურქული წარმომავლობის გერმანელმა ისაუბრა ამერიკელი ექიმების ცდებზე.

* * *

**„ნასამ“ კიდევ ერთი დღით გააგრძელა კოსმოსში შატლ „დისკავერის“ ყოფნის ვადა**

ეს უკვე მეორე გაგრძელებაა ამ ხომალდის მისიისა, რომლის ბორტზეც ექვსი ასტრონავტია. „ნასა“ ორი დამატებითი დღის განმავლობაში აპირებს სამუშაოების დასამთავრებლად გამოიყენოს ორბიტალური ლაბორატორიის ნაწილი. ამრიგად, შატლი დედამიწაზე 9 მარტს დაბრუნდება

* * *

**ბრიუსელში ევროკავშირის რეზიდენციას შიგნიდან ცეცხლი გაუჩინეს**

ხანძრის კერა იყო ტექნიკურ სათავსში შენობის მერვე სართულზე, იქ აღმოაჩინეს ორი კასრი ტექნიკური ზეთი, რომლებსაც ხანძარი გაუჩინეს ჩვრის ფიტილის დახმარებით. ხანძარი ძალიან მალე აღმოაჩინეს სიგნალიზაციის წყალობით. დაზარალებულები და მსხვერპლი არ არის, ზარალი მეტად უმნიშვნელოა.

## მრგვალი მაგიდა

# როგორ გადავარჩინოთ ქართულ-რუსული ურთიერთობები?

**„რუსულ-ქართული ურთიერთობები მასმედიაში: რატომ მხოლოდ ნეგატიური?“** – ამ სახელწოდებით სასტუმრო „ამბასადორში“ ერეკლე მეორის საზოგადოების ინიციატივით მრგვალი მაგიდა გაიმართა.

მრგვალი მაგიდის დისკუსიაში 25-მდე პოლიტოლოგი და ჟურნალისტი მონაწილეობდა. პოლიტოლოგის, ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარის **არჩილ ჭყოიძის** თქმით, პრობლემამ კარგა ხანია იჩინა თავი არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ – რუსეთშიც. „უკვე 20 წელიწადია ეს უარყოფითი მოვლენები სიმძაფრით წარმოჩინდა და ბოლო ორ-სამ წელიწადში პიკს მიაღწია. და თუ დროზე რამე არ მოვიმოქმედეთ და ხელისუფლებას ვუყურეთ, ორ მართლმადიდებელ ერს შორის ურთიერთობა ისეთ ჩიხში შეიძლება შევიდეს, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელი იქნება.“

არჩილ ჭყოიძის თქმით, მრავალი კარგი ღონისძიება ტარდება როგორც საქართველოში, ისე რუსეთშიც, რითიც ჩვენი ხალხების დამეგობრება შეიძლება, თუმცა ეს ყველაფერი ქართულ და რუსულ მასმედიაში იბლოკება. იგი ფიქრობს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უარყოფითი განწყობის გაძლიერება მკვეთრად პროდასავლური, ერთვექტორიანი პოლიტიკის ნაწილია, რამაც არც დღემდე მოუტანა სიკეთე საქართველოს და მის ტერიტორიულ მთლიანობას, და ვერც შემდგომში მოუტანს.

არჩილ ჭყოიძემ დამსწრეთ შეახსენა ნაწყვეტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის **ილია მეორის** ქადაგებიდან: „ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ წარსულის გაკვეთილები და ვუცქიროთ მომავალს ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების ინტერესთა გათვალისწინებით. უნდა გვახსოვდეს ბრძნული სიტყვები, სანამ ამომავალ მზეს დაინახავდე, ნახავ შენს მეზობელს. რთული დამოკიდებულებები გაძ-ძლება მეზობლებს შორის დაუშვებელია.“

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ნახეს ტელეკომპანია „რეალ ტვ“-ის ორი სიუჟეტი ერეკლე მეორის საზოგადოების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ და არაობიექტურობას გაუსვეს ხაზი. „რეალ ტვ“-ისგან განსხვავებით, მოიწონეს ტელეკომპანია „მირ“-ის სიუჟეტი რუსული ენის შემსწავლელი კურსების შესახებ.

პუბლიცისტი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი 1990-91 წლებში **თემურ ქორიძე** ფიქრობს, რომ რუსეთთან ურთიერთობების გარკვევა დღესვე გვჭირდება, იმის მიუხედავად, მოგვწონს თუ არა რუსეთი, ანდა რუსეთის კულტურა. ეს პროცესი დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოსო: „ზვიად გამსახურდია ერთ-ერთ ინტერვიუში საჯაროდ ამბობს: რუსოფილური განწყობა ჩემთვის უცხო არ არის, მე ყოველთვის ვოცნებობდი ჩვენს ამ დიდ მეზობელთან მეგობრული კავშირი გვქონოდაო.



ეს ძალზე სერიოზული თემაა, და სამწუხაროდ, ჩვენს მედიას არ აღმოაჩნდა უნარი, იყოს სერიოზული, ღირსეული, მიუკერძოებელი და იყოს ჭეშმარიტების მხარეს. სამწუხაროდ, როცა ვსაუბრობთ ხელისუფლების კორუმპირებულობაზე, თვალს ვხუჭავთ იმაზე, რომ მედიის დიდი ნაწილიც, ასევე, კორუმპირებულია. აბა, ვინმემ გაბედოს და ამ თემაზე ისაუბროს, გველეშაპის სიმძლავრით მედიის რისხვას მიიღებს.“

საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატმა **ადა მარშანიამ** დისკუსიას საინტერესო უწოდა. „მედია ასახავს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების კატასტროფულ პოლიტიკას, უკუღმართ რეალობას, რომელშიც ვცხოვრობთ. არსებითია მაინც გამოსავლის ძიება. უნდა მოვახერხოთ ჯერ ჩვენი საზოგადოების მობილიზება და შემდეგ რუსულ საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარება. კონტაქტები უნდა ვეძიოთ და ჩვენს ტრაგიკულ ვითარებაზე ვიმსჯელოთ. რუსეთსაც არა ჰყავს ნორმალურად მოაზროვნე ხელისუფლება, და ხშირად პროვოკაციულ პოლიტიკას მიმართავსო.“

მრგვალი მაგიდის მსვლელობისას პირდაპირი ვიდეოხიდის მეშვეობით რამდენიმე პიროვნება ჩაერთო. რუსმა პოლიტოლოგმა **ვალერი კოროვინმა** ქართული მედია უარყოფითი განწყობის შექმნაში დაადანაშაულა და დასძინა, რუსული მედიის ნაწილი ქართული მედიის განწყობის საპასუხოა.

მართლმადიდებლური საინფორმაციო სააგენტოს „რუსკაია ლინია“ მთავარმა რედაქტორმა **ანატოლი სტეპანოვმა**, საინფორმაციო სააგენტო „ინფოროსის“ ხელმძღვანელმა **დენის ტურინმა** აღნიშნეს, რომ საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯები რუსეთთან დიალოგის თაობაზე პოპულისტურია და რეალურ აღდგენასთან საერთო არაფერი აქვს. უმთავრესია ნდობის აღდგენა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ფიქრიო.

რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის ფონდის პრეზიდენტის **ვლადიმერ ხომერიკის** თქმით, ქართული დიასპორა რუსეთში აქტიურად ცდილობს საქართველოს იმიჯის აღდგენას. უნდა ამოქმედდეს სახალხო დიპლომატია, რაც შეიძლება მეტი კონფერენცია გაიმართოს და ქართული და რუსული საზოგადოება ერთმანეთს დაუკავშირდესო.

ისრაელელმა პოლიტოლოგმა **ავიგდორ ესკინმაც** სახალხო დიპლომატიის როლზე გაამახვილა ყურადღება, რომ ორი ქვეყნის ხალხებმა უნდა მოახერხონ დაახლოება, ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვაო. „წარსულის წყენაზე კონცენტრირების ნაცვლად, საჭიროა მომავლისკენ ყურება და იმ ადგილების ძებნა, სადაც შეიძლება ხიდები აიდებს.“

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის დირექტორმა **ნანა ჯაფარიძემ** ისაუბრა ქართულ მასმედიაში კონგრესის პრეზიდენტის, ბატონ ალექსანდრე ეზუგბაიას წინააღმდეგ წარმოებული უსაფუძვლო და მტრული კამპანიის წინააღმდეგ. „ეს ერთ-ერთი მაგალითია ქართული მასმედიის ტენდენციურობის. სამწუხაროდ, როგორც ჟურნალისტიკა, როგორც დარგი, პრაქტიკულად კვდება და მის ადგილს, გარკვეულ, გამოთხოვილ ხელისუფლება იკავებს, რომელიც, სამწუხაროდ, ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს“.

არჩილ ჭყოიძემ მრგვალი მაგიდის მონაწილეებს წინასწარ ილიას ძეგლის ამსახველი ვიდეოკადრები უჩვენა, რომელზეც ილიას ძეგლი გავერანებულია. მან ხელისუფლებას ურჩია მლიქვნელურ კი არ ჩაატაროს მთავრობის სხდომები, არამედ აქ – ილიას ძეგლთან. – და როდესაც ხმამაღლა ამბობენ, ისტორიას და გმირებს პატივს ვცემთო, იქნება ასე მაინც იზრუნონ ამ დიდი მამულიშვილის მიმართ და ძეგლიც აღდგებაო, – დასძინა ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარემ.

**ნატა ნიბლაძე**

## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი



რას ვუყუროთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

### 5 მარტი, შაბათი

I არხი
10.00 მხ. ფილმი „უფლისწული გედი“
12.15 მხ. ფილმი „ზოროს ნილაბი“
18.00 ქართ. მხ. ფილმი „მწვერვალი“
22.00 ევროვიზია 2011 – შიდა შესარჩევი კონკურსი
23.00 სერიალი „ფარი“
00.00 მხ. ფილმი „ოცნების გოგონები“
03.40 მხ. ფილმი „ბრალდებული“

II არხი
20.00 მხ. ფილმი „ზოროს ნილაბი“
22.05 კონცერტი; შოთა მილორავას საღამო
00.04 მხ. ფილმი „ბრალდებული“

რუსთავი-2
10.00 სერიალი „ლეგენდა მაძიებელზე“
12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
13.00 მხ. ფილმი „კუზიანი“
15.30 ქართ. ფილმი „ფატიმა“
19.50 სერიალი „ელენეს მოჩვენება“
22.00 ქართ. სერიალი „მეზობლები“ (1-ლი სერ.ძ
23.00 ქართ. სერიალი „დეტექტივები“ (1-ლი სერ.
00.00 მხ. ფილმი „ვიწრო ზღვარი“
02.30 მხ. ფილმი „არიზონული ოცნება“

მზე
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 სერიალი „ელიზა“
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „ტაქსის მძღოლი“
21.00 სერიალი „სი ეს აი“
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ

იმედი
09.15 მხ. ფილმი „ახალი რობინზონები“
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები“
11.45, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
12.35, 18.45 სერიალი „ლოზას საიდუმლო“
16.00 სერიალი „მონტეს ოჯახი“
17.40 სერიალი „სიყვარულის ზღვა“
21.00 სერიალი „ქალბატონი“
23.00 სტუმრად იუმორინასთან
00.00 სერიალი „მკვლელის პორტრეტი“ (1-ლი სერ.ძ
01.00 მხ. ფილმი „საქორწილო წვეულება“ (სუბტიტრ.ძ
03.00 მხ. ფილმი „ოთხი ოთახი“ (სუბტიტრ.ძ
04.35 მხ. ფილმი „სახიფათო დავალება“ (სუბტიტრ.ძ

აჭარა
09.30, 23.00 სერიალი „დაცვის უფლება“
12.30, 21.00 სერიალი „იდუმალი სტუმარი“
13.15 სერიალი „გაზაფხული“
16.30 სერიალი „ლომი ზამთარში“
19.30 სერიალი „ორმაგი ცხოვრება“
00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.45 მხ. ფილმი „არასერიოზული კაცი“
15.10 ოპერა
19.30 მხ. ფილმი „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“
00.25 მხ. ფილმი „დანაშაული მოხდა“

საქართველო
11.00 სერ. „ბრიგადა“
12.00 მხ. ფილმი „სიჩქარე“
14.05 მხ. ფილმი „ვარსკვლავთკარიბჭე“
16.20 მხ. ფილმი „ანა და მეფე“
19.00 მხ. ფილმი „ზომბილენდი“
20.30 მხ. ფილმი „მძევალი“
22.10 მხ. ფილმი „წმინდა გვირგვინი“
00.20 მხ. ფილმი „ამადეუსი“

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „წინასწარმეტყველება“
12.00 მხ. ფილმი „საერთაშორისო აგენტი“
14.00 მხ. ფილმი „კარიბის ზღვის მეკობრეები“
16.00 მხ. ფილმი „როგორ მოვიშოროთ ბიჭი 10 დღეში“
18.00 მხ. ფილმი „სიცრუის ერთობლიობა“
20.00 მხ. ფილმი „სუროგატები“
22.00 მხ. ფილმი „ნოთინგ ჰილი“
00.00 მხ. ფილმი „ფანტასტიკური ოთხეული“

GMG კინოგურმანი
10.00 მხ. ფილმი „ნიუ-იორკი, ნიუ-იორკი“
12.45 მხ. ფილმი „კაზინო“
15.40 მხ. ფილმი „გააანალიზე ის“
17.20 მხ. ფილმი „პირადი მცველი“
19.30 მხ. ფილმი „მედისონის ოლქის ხიდები“
21.50 მხ. ფილმი „უხამსი წინადადება“
23.45 მხ. ფილმი „ბერძენი მაგნატი“
01.35 მხ. ფილმი „ინგლისელი პაციენტი“

GMG ფეხბურთი
12.00 „დორტმუნდი“ – „კიოლნი“
14.00 არგენტინის ჩემპიონატის მიმოხილვა
15.00 ესპანეთის საფეხბურთო შოუ
15.30 საფრანგეთის საფეხბურთო შოუ
16.00 იტალიის საფეხბურთო შოუ
16.30 „ლეჩე“ – „რომა“
18.30 „ჰანოვერი“ – „ბაიერნი“ (პირდ.ძ
20.30 ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.30 „ლევერკუზენი“ – „ვოლფსბურგი“ (პირდ.ძ
23.45 „იუვენტუსი“ – „მილანი“ (პირდ.ძ

რეგიონი TV – ალანია
12.00 მხ. ფილმი „თანავარსკვლავედი“
13.35 მხ. ფილმი „ჩემი ოცნების პაემანი“
15.25მხ. ფილმი „დაუპატიჟებელი სტუმრები“
17.45 მხ. ფილმი „დასაწყისი“
20.50 მხ. ფილმი „მე შენ მიყვარხარ, ნიუ-იორკო!“
22.30 მხ. ფილმი „ცხოვრება, ისეთი, როგორიც არის“
00.30 მხ. ფილმი „საზღაურის საათი“

### 6 მარტი, კვირა

I არხი
10.00 მხ. ფილმი „უფლისწული ბაყაყი“
12.15 მხ. ფილმი „ზაზუნას დღე“
14.30 სპექტაკლი „უჩინარი“
18.00 კონცერტი – ზ. კვერნაძის საიუბილეო საღამო
22.00 სერიალი „კა-17“
23.00 სერიალი „ფარი“
01.00 მხ. ფილმი „დონი ბრასკო“

II არხი
15.00 სპექტაკლი „პეპო“
22.00 მხ. ფილმი „ზაზუნას დღე“
23.40 კონცერტი: ჩვენებურები 2005
01.20 მხ. ფილმი „კარანდირუ“

რუსთავი 2
13.00 მხ. ფილმი „სიგიჟემდე შეყვარებული“
22.00 ქართ. სერიალი „მეზობლები“ (მე-2 სერ.ძ
23.00 ქართ. სერიალი „დეტექტივები“ (2-ე სერ.ძ
00.00 მხ. ფილმი „ფხიზელი ძილი“
02.20 მხ. ფილმი „გულის დანაშაულობანი“

მზე
08.00 მხ. ფილმი
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 მხ. ფილმი „ელიზა“
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „ტაქსის მძღოლი“
21.00 სერიალი „სი ეს აი“
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ

იმედი
12.00, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
15.00 მხ. ფილმი „ექსპრეს ინფორმაცია“
19.05 ქართ. სერ. „გოგონა გარეუბნიდან“
20.30 კონცერტი
00.00 სერ. „მკვლელის პორტრეტი“
01.00 მხ. ფილმი „ტერმინატორი 3“ (სუბტიტრ.ძ
03.10 მხ. ფილმი „განდგომილები“ (სუბტიტრ.ძ
05.30 მხ. ფილმი „ჩვევად ქცეული ქორწინება“ (სუბტიტრძ.

აჭარა
09.30.23.00 სერ. „დაცვის უფლება“
12.00, 21.00 სერ. „იდუმალი სტუმარი“
16.30 სერიალი „ოქროს კერპი“
19.30 სერიალი „ორმაგი ცხოვრება“
00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.15 მხ. ფილმი „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“
19.30 მხ. ფილმი „გიორგობისთვე“
00.40 ოპერა

საქართველო
11.00 სერიალი „ბრიგადა“
12.00 მხ. ფილმი „მაქს მაგნუსი“
14.00 მხ. ფილმი „ეშმაკის ადვოკატი“
16.30 მხ. ფილმი „სვოთი“
18.40 მხ. ფილმი „ჩარლი უილსონის ომი“
20.20 მხ. ფილმი „იულიუს კეისარი“
23.20 მხ. ფილმი „მამაცი გული“

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „საერთაშორისო აგენტები“
12.00 მხ. ფილმი „კარიბის ზღვის მეკობრეები“
14.00 მხ. ფილმი „როგორ მოვიშოროთ ბიჭი 10 დღეში“
16.00 მხ. ფილმი „სიცრუის ერთობილობა“
18.00 მხ. ფილმი „ქორწილის მომლერალი“
20.00 მხ. ფილმი „ტერმინალი“
22.00 მხ. ფილმი „სუროგატები“
00.00 მხ. ფილმი „ნოთინგ ჰილი“

GMG კინოგურმანი
10.00 მხ. ფილმი „კაზინო“
12.55 მხ. ფილმი „გააანალიზე ის“
14.40 მხ. ფილმი „პირადი მცველი“
16.50 მხ. ფილმი „მედისონის ოლქის ხიდები“
19.10 მხ. ფილმი „აუზი“
21.15 მხ. ფილმი „სიამაყე და ცრურწმენა“
23.25 მხ. ფილმი „უხამსი წინადადება“
01.30 მხ. ფილმი „ბერძენი მაგნატი“

GMG ფეხბურთი
12.00 „ატლეტიკო“ – „ვილიარეალი“
13.45 „ბარსელონა“ – „სარაგოსა“
15.30 „სამპდორია“ – „ჩეზენა“ (პირდ.ძ
17.30 „ლივერპული“ – „მანჩესტერ იუნ.“ (პირდ.ძ
19.30 ესპანეთის საფეხბურთო შოუ
20.00 იტალიის საფეხბურთო შოუ
20.30 „ჰამბურგი“ – „მაინცი“ (პირდ.ძ
22.20 არგენტინის ჩემპიონატის მიმოხილვა
00.00 „რასინგი“ – „რეალი“1 (პირდ.ძ

რეგიონი TV – ალანია
11.15 მხ. ფილმი „სიყვარულის ფორმულა ქორწინების ტუსაღისათვის“
13.10 მხ. ფილმი „სიკვდილი დაკრძალვაზე“
14.40 მხ. ფილმი „მილიონის ფასი ცუნცულა“
16.50 მხ. ფილმი „ალექსანდრე“
21.10 მხ. ფილმი „შვებულება გაცვლით“
22.20 მხ. ფილმი „ორმაგი ცვედანი“
01.20 მხ. ფილმი „შვიდი სიცოცხლე“

### 7 მარტი, ორშაბათი

I არხი
15.00, 21.00 სერიალი „ტკბილი, მწარე ცხოვრება“
00.30 მხ. ფილმი „პირველი რაინდი“

II არხი
09.00 მხ. ფილმი „ზაზუნას დღე“
20.00 მხ. ფილმი „ოცნების გოგონები“
01.00 მხ. ფილმი „დონი ბრასკო“

რუსთავი-2
10.00 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები“
11.00 სერიალი „მიმწყვდეული“
12.30 სერიალი „შენ ჩემი სიცოცხლე ხარ“
15.30 სერიალი „ჩვენი ოფისი“
16.00 სერიალი „სიყვარულის საიდუმლო“
16.50 სერიალი „მორენას ვნება“
18.30 სერიალი „გაორება“
18.50 სერიალი „დანიელა“
19.50 სერიალი „ელენეს მოჩვენება“
00.00 საფეხბურთო ღამე
01.00 მხ. ფილმი „რემბო“

მზე
09.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“
11.00, 20.00 სერიალი „დაუნდობელი სამყარო“
12.00, 21.00 „გაუხსნელი საქმე“
15.20 სერიალი „ორნახევარი კაცი“
17.00 მხ. ფილმი
19.00 სერიალი „ვნებათა მიწა“
22.00 მხ. ფილმი
00.00 მხ. ფილმი

იმედი
10.00 სერიალი „სილამაზის მსხვერპლი“
11.50 სერიალი „ბოშები“
13.00,18.45 სერიალი „ლოზას საიდუმლო“
16.00 სერიალი „მონტეს ოჯახი“
17.40 სერიალი „სიყვარულის ზღვა“
21.00 სერიალი „ქალბატონი“
22.00 სტუმრად იუმორინასთან
23.30 მხ. ფილმი „სამართლიანობისთვის მებრძოლი“ (სუბტიტრ.ძ
01.30 მხ. ფილმი „უკანასკნელი ლეგიონი“ (სუბტიტრ.ძ
03.10 მხ. ფილმი „დამცველი“ (სუბტიტრ.ძ

აჭარა
09.30, 23.00 სერიალი „დაცვის უფლება“
11.50, 21.00 სერიალი „იდუმალი სტუმარი“
12.50, 19.30 სერიალი „ორმაგი ცხოვრება“
16.30 სერიალი „ოქროს კერპი“
00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
13.30. კონცერტი
19.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას

საქართველო
09.00, 13.05 სერიალი „დაწყევლილი მეფეები“
11.15 სერიალი „შესანიშნავი შვიდეული“
14.00 მხ. ფილმი „მისია სერენიტი“
16.00 მხ. ფილმი „გრაფ მონტე კრისტო“
17.45 მხ. ფილმი „აპოკალიფსი“
20.10 სერიალი „სოლომონ კეინი“
21.55 მხ. ფილმი „როგორც ვენდეტა“
00.15 მხ. ფილმი „უძილობა“

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „ნოთინგ ჰილი“
12.10 მხ. ფილმი „როგორ მოვიშოროთ ბიჭი 10 დღეში“
14.15 მხ. ფილმი „სიცრუის ერთობლიობა“
15.50 მხ. ფილმი „ქორწილის მომღერალი“
17.35 მხ. ფილმი „ფანტასტიკური ოთხეული“
19.50. მხ. ფილმი „ლოს-ანჯელესის საიდუმლოებანი“
21.15 მხ. ფილმი „ტერმინალი“
00.20 მხ. ფილმი „სუროგატები“

GMG კინოგურმანი
10.00 მხ. ფილმი „ბერძენი მაგნატი“
11.45 მხ. ფილმი „მედისონის ოლქის ხიდები“
14.05 მხ. ფილმი „პირადი მცველი“
16.15 მხ. ფილმი „აუზი“
18.10 მხ. ფილმი „ინგლისელი პაციენტი“
20.40 მხ. ფილმი „ესაუბრე მას“
22.35 მხ. ფილმი „სიამაყე და ცრურწმენა“
01.05 მხ. ფილმი „უხამსი წინადადება“

რეგიონი TV – ალანია
09.45, 19.45 სერიალი „უშნო ბეტი“ (1-2 სერ.ძ
11.45 მხ. ფილმი „სფეროსებრი ელვა“
14.00 მხ. ფილმი „დამოუკიდებლობის დღე“
16.45 მხ. ფილმი „დაწყევლილი კუნძული“
22.05 მხ. ფილმი „P. S. მე შენ მიყვარხარ“
00.55 მხ. ფილმი „სენსაცია“.



რას ვუყუროთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

### 5 მარტი

კინოთეატრი „ამირანი“ (დიდი დარბაზიძ
12:00 - „ერთხელ შუა ქალაქში“ - (7-8 ლარიძ
14:00 - „ერთხელ შუა ქალაქში“ - (8-9 ლარიძ
16:00 - „ერთხელ შუა ქალაქში“ - (8-9 ლარიძ
18:00 - „ერთხელ შუა ქალაქში“ - (10-11 ლარიძ
20:00 - „ერთხელ შუა ქალაქში“ - (12-14 ლარიძ
22:15 - „ერთხელ შუა ქალაქში“ - (12-14 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

კინოთეატრი „ამირანი“ (მცირე დარბაზიძ
12:15 - „გარიგება 2“ - (6 ლარიძ
14:15 - „გარიგება 2“ - (7 ლარიძ
16:15 - „ვიკრუტასები“ - (7 ლარიძ
18:15 - „ვიკრუტასები“ - (8 ლარიძ
20:15 - „ვიკრუტასები“ - (10 ლარიძ
22:00 - „ვიკრუტასები“ - (10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენაძ
19:45 - „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“ - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარიძ რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68



მარჯანიშვილის თეატრი
20:00 - „პიგმალიონი“ - (ბილეთის ფასი - 4 - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენშიძ
20:00 - „ტყუილ-მართალი“ - (ბილეთის ფასი - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

თავისუფალი თეატრი
19:00 - „თაფლობის თვე“ - (ბილეთის ფასი - 5, 7, 9 ლარიძ რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21

სამეფო უბნის თეატრი
20:00 - „ნუგზარი და მეფისტოფელი“ - (ბილეთის ფასი - 7 - 10 ლარიძ გ. აბესაძის ქ. 10 ტელ: 92-38-70, 99-61-71

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
19:00 - „აკრძალული თამაშები“ (პრემიერაძ - (ბილეთის ფასი - 10 ლარიძ აღმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90

გაბრიაძის თეატრი
19:00 - „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“ - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10, 15 ლარიძ შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90, 868 78-18-97

გრიბოედოვის თეატრი
18:00 - „ემიგრანტები“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06

ახმეტელის თეატრი
19:00 - „იქ, სადაც ჩემი სახლია“ - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარიძ ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
19:00 - „რომეო და ჯულიეტა“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
12:00 - „მაწანწალა ზღაპარი“
15:00 - „კატის ზღაპარი“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ დ. აღმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27.

ფეხბურთი

# „დინამოს“ რომ ეკადრება

**დილმის საწვრთნელ ბაზაზე მისულს თავი სამშენებლო პოლიგონზე მეგონა. იქ, სადაც ტყავის ბურთის დიდოსტატთა თაობები დაფრთიანდნენ, სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ზაფხულში უნდა დასრულდეს. ქართული ფეხბურთის ტალანტთა მექის განახლების პროცესს არაერთხელ დავუბრუნდებით, დღეს კი დედის დღეს გამართული პრესკონფერენციის შესახებ გიამბობთ, სადაც თბილისის „დინამოს“ ახალმა პრეზიდენტმა რომან ფიფიამ პრესას მისი ძველი მეგობარი და ბიზნესპარტნიორი, ამიერიდან სახელოვანი კლუბის გენერალური მენეჯერი ზურაბ პოლოლიკაშვილი წარუდგინა.**



მას საზოგადოება, უპირველესად, სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობით იცნობს, მათ შორის, როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრსა და ჩვენი ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ესპანეთში. როგორც ირკვევა, ბატონი ზურაბი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარიც ყოფილა, რასაც „ბარსელონაში“ უნიჭიერესი ქართველი ჭაბუკის გიორგი ჭანტურიას ტრანსფერის გაჩარხვაში მისი აქტიური მონაწილეობა ადასტურებს. „ვეცდები იქაურ ბრენდებთან მჭიდრო კონტაქტები ისეთი ბრენდის ალორძინებისთვის გამოვიყენო, როგორიცაა თბილისის „დინამო“ – განაცხადა მან.

„დავძენ, რომ კლუბის გადაფორმების პროცესი უკვე დასრულებულია და დღეიდან „დინამოში“ ახალი ეპოქა იწყება. რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, მათ შესახებ ახლო მომავალში შეგატყობინებთ. აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და გაწეული შრომისათვის მადლობას მოვახსენებ „დინამოს“ აწ უკვე ყოფილ მმართველ დირექტორს ბატონ ბუბა ტყავაძეს“ – ეს უკვე რომან ფიფიას სიტყვებია.

* * *

**გაუწყებთ ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩების შედეგებს:** „ზესტაფონი“ – „ტორპედო“ 1:0, „ცხინვალი“ – „სამტრედია“ 1:0.

**გია პლატონიშვილი**

ჭადრაკი

# სასწაულის იმედად

**5 მოგება და 4 წაგება – ასეთია ფიდეს გრან-პრის დასკვნით ტურნირში უკომპრომისო თამაშით გამორჩეული ქართველი დიდოსტატის ნანა ძაგნიძის შუალედური შედეგი.**



ასეთი მონაგარი, ალბათ, ბევრს ეპატიება, მაგრამ არა მთავარი პრიზისა და, მით უმეტეს, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ჩინელ ჰოუ იფანთან სატიტულო ბრძოლის უფლების მაძიებელს. არადა, ჩვენი თანამემამულე ყატარის დედაქალაქ დოჰაში გამგზავრებამდე სწორედ ასეთად მიიჩნეოდა.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს უკვე ყველაფერი გამოვიტირეთ. კიდევ კარგი, რომ არა, მაგრამ მიზნის მიღწევისთვის შემორჩენილი მიზერული შანსი და სასწაულის იმედად ყოფნა, დაგვეთანხმებით, დიდი ვერაფერი საბაზია ოპტიმიზმისთვის.

უფრო კონკრეტულნი რომ ვიყოთ, გაუწყებთ, რომ ბოლო ორ ტურში ძაგნიძემ ორივე პარტიაში უნდა გაიმარჯვოს, ფრანგმა მარი სებაგმა (სწორედ მასთან დამარცხდა ნანა IX ტურშიძ და ინდოელმა ჰამფი კონერუმ კი ორივე წარუმატებლად უნდა დაასრულონ. ამ შემთხვევაში ნანა პროგრამა-მაქსიმუმს შეასრულებს, ხოლო თუ კონერუ გათამაშების ერთპიროვნულ სომეხ ლიდერს ელინა დანიელიანს ვერ გაუსწრებს, მაშინ შეგვეძლება, ჩვენებურს პროგრამა-მინიმუმის შესრულება მივულოცოთ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

რეტრო

# იგი მოწოდებით ლიდერი იყო

**როცა ეროვნულ გმირს ჟიული შარტავას ვიხსენებთ, პატივს მივაგებთ ამ ფართო დიაპაზონის მამულიშვილის მიერ გაკეთებულ უამრავ კეთილ საქმეს. დღეს ერთ-ერთი მათგანის შესახებ მოგითხრობთ.**

1977 წლის ოქტომბერში თბილისმა ისეთი მაღალი რანგის კომპლექსურ ღონისძიებას უმასპინძლა, როგორიც იყო საბჭოთა კავშირის IV პირველობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე მშთ-ს მრავალჭიდში (მთავარმა მსაჯმა – მფრინავმა კოსმონავტმა ალექსეი ლეონოვმა პატაკი ლეგენდარული ვიქტორ სანეევისგან ჩაიბარაძ.

სტარტზე გამოვიდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის რუსეთის ფედერაციის ორი, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადისა და ბამ-ის ნაკრებები. აი, სწორედ ასეთ სოლიდურ კამპანიაში იყოჩაღა საქართველოს ნაკრებმა და საერთო გუნდურ ჩათვლაში რუსეთის ფედერაციის პირველი და უკრაინის კოლექტივების შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა. თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა წელს ტაშკენტში გამართულ ანალოგიურ ასპარეზობაზე საქართველოს დელეგაციას XVI პოზიცია ერგო, ეს გახლდათ სასწაული!

განსაკუთრებით გვასახელეს საიდა გუნბამ (გაიმარჯვა საკავშირო რეკორდით ხელყუმბარის ტყორცნაშიძ, გია ჯარაშნელმა (ყველას აჯობა 100 მეტრზე სირბილში, ორივე III საფეხურის პროგრამაძ, კლარა გუნბამ (საუკეთესო იყო 100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში, IV საფეხურიძ, ტყვიის მსროლელებმა, იგორ ვოლკოვმა, რომელმაც I-II ადგილები გაიყო, II საფეხურის ნიშნოსანთა შორის სენსაციური წარმატების ავტორმა სერგეი მურატოვმა, აგრეთვე ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა ირინა კოსორუკოვამ (600 მეტრზე სირბილიძ და სელმა ნოვოსელცოვამ (ხელყუმბარის ტყორცნაძ.



ბუნებრივია, ასეთი მიღწევა ჰაერიდან არ მოსულა. როცა საოცარ პროგრესზე ვსაუბროთ, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის უდიდესი მხარდაჭერა, რომელმაც სპეციალური დადგენილება გამოიტანა აღნიშნული ღონისძიების თაობაზე. ამ დოკუმენტის შესაბამისად გამოიყო სათანადო დაფინანსება, მოეწყო საწვრთნელი შეკრებები ტყიბულში, თბილისსა და ერევანში, აგრეთვე „დინამოს“ სტადიონზე დაიგო რეზინის საფარი და კეთილმოეწყო ყველა დამხმარე სათავსო.

ჩვენს თანამემამულეთა მაშინდელ ტრიუმფში ღირსეული წვლილი შეიტანეს სპორტკომიტეტის მშთ-ს კომპლექსის განყოფილებამ (მისი ხელმძღვანელობა ერთი წლის წინათ მე დამევალაძ, მშთ-ს რესპუბლიკურმა საბჭომ (თავმჯდომარე – აკადემიკოსი გიორგი შხვაცაბაიაძ და მწვრთნელთა საბჭომ ზერო ჯარაშნელის, ალექსანდრე შრებინას, თენგიზ ხერხეულიძისა და ერიკ მაროტის შემადგენლობით, მაგრამ საკუთარი სინდისის წინაშე შევცოდავთ, თუ ხაზს არ გავუსვამთ საქართველოს კომკავშირის ლიდერის, რესპუბლიკური შტაბის თავკაცის მიერ გაწეულ ტიტანურ შრომას. დიახ, სწორედ ბატონი ჟიული შარტავა გახლდათ ის პიროვნება, რომელიც ფაქტობრივად განაგებდა და წარმართავდა როგორც ჩვენი გუნდის მზადების, ისე ღონისძიების საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალების საკითხებს.

საილუსტრაციოდ პირდაპირ „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნაზე გამართული ერთ-ერთი ყოველდღიური თათბირის იმ ეპიზოდს გავიხსენებ, სადაც აღშფოთებული დარჩა რომელიღაც თანამშრომლის ინფორმაციით ქართული დელეგაციის უგემოვნო ეკიპირების გამო. პრობლემის გადასაჭრელად იგი პირადად დაუკავშირდა ლიტველ კოლეგას და, მიხვდით ალბათ, ვითარება განმუხტა კიდეც.

და ბოლოს, მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოთარ ჩერქეზიას დადებითი როლიც, რომელმაც შეჯიბრების ყველა მონაწილე რესტორან „არაგვში“ მიიწვია დახურვისადმი მიძღვნილ ბანკეტზე და სტუმრები დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დამუხტა.

**გივი მძელური,**
სპორტის დამსახურებული მუშაკი

ინტერნეტიდან

## საჭესთან ხომ არ უნდა დაგვეძინოს?!



**ავტორბოლაში „ფორმულა- 1“ ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ გააკრიტიკა ესპანეთის მთავრობის, კერძოდ კი ვიცე-პრემიერის ალფრედო პერეს რუბალკაბის მოთხოვნა, შეიზღუდოს ქვეყნის ავტობანებზე მანქანების სიჩქარე საათში 110 კილომეტრამდე.**

ესპანელი პოლიტიკოსების აზრით, ეს უნდა გაკეთდეს საწვავის მოხმარების შემცირებისთვის, რაზეც ფასები სწრაფად იზრდება და ასე გაგრძელდება, სანამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სიმშვიდე არ დამყარდება. რუბალკაბის განცხადებით, 120-დან 110 კილომეტრამდე სიჩქარის შემცირება ქვეყანას დაახოგვინებს 1,25 მილიარდ გირვანქა სტერლინგს იმპორტულ საწვავზე.

ამასთან დაკავშირებით ალონსომ ინტერვიუში განაცხადა, რომ არის საწვავის ეკონომიის სხვა, უფრო ეფექტური გზებიც, საათში 110 კმ სიჩქარეზე კი, შესაძლოა, საჭესთან დაგვეძინოსო.

ესპანელის ამ განცხადებას მხარი დაუჭირა მეორე პირინეელმა მრბოლმა ჰავერა ვილამ. მისი თქმით, 1976 წლის ნავთობის კრიზისის დროს, როდესაც მიიღეს მსგავსი ზომები, მნიშვნელოვნად გაიზარდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები. „რაც უფრო დაბალია მოძრაობის სიჩქარე, იმდენად ძნელია საჭესთან კონცენტრაციის შენარჩუნება, რასაც უეჭველად მივყავართ უზედურ შემთხვევების გაზრდამდე!“

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროს ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა გზებზე სიჩქარის გაზრდა საათში 70 მილიდან ( 112 კმ, სთძ. 80 მილამდე (დაახლოებით 130 კმძ, რათა ქვეყნის ეკონომიკას ახალი იმპულსი მიეცეს.

კალათბურთი

# ესპანური კვარტეტი

**ევროლიგის მეორე ჯგუფური რაუნდის დასკვნით ტურში მხოლოდ ორი მატჩის შედეგს ჰქონდა მნიშვნელობა პლეიოფში გასვლის თვალსაზრისით და ჩვენც მათზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.**



ვილნიუსის „სიმენს არენაზე“ გამართული უშუალო კონკურენტების – „ლიეტუვას რიტასისა“ და „ტაუგრესის“ ყოფნა-არყოფნის შეხვედრას წინ სნაიპერების – შესაბამისად, იასაიტისისა და ტელეტოვიჩის ტრავმები უძღოდა. მართალია, ორივემ შეძლო სარბიელზე გასვლა, მაგრამ პარტნიორთა სრულფასოვნად დახმარება მხოლოდ ესპანელთა ბოსნიელმა ლეგიონერმა მოახერხა. მას მშვენივრად აუბა მხარი სან ემეტერიომ, რაც საკმარისი აღმოჩნდა სტუმართა გასამარჯვებლად – 77:68. რაც შეეხება ბალტიისპირელთა „ჯოკერს“, მან ერთადერთი სამქულიანით თანაკლუბელები პირველად და უკანასკნელად ბრძოლის დებიუტში დააწინაურა – 3:2, მაგრამ აუტანელი ტკივილების გამო მალევე მოითხოვა შეცვლა და აღარც დაბრუნებულა ბრძოლის ველზე.

დრამატულად განვითარდა მოვლენები „ფენერბახჩეს“ ირგვლივ. პირველ წრეში თურქებმა სამივე მეტოქე დაამარცხეს და ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ბოლოს თამაშგარე მდგომარეობაში დარჩებოდნენ. არადა, სწორედ ასე მოხდა. ოსმალოებს საბედისწერო ჩხვლეტა „ვალენსიამ“ მიაყენა – 82:69, რომელიც უილბლო სტარტის შემდეგ შეახტა მეოთხედფინალისკენ მიმქროლავ მატარებელს.

**VI სათამაშო დღის სრული შედეგები ასეთია:**

**„ა“ ჯგუფი.** „ლიეტუვას რიტასი“ – „ტაუგრესი“ 68:77, „უნიკახა“ – „პანათინაიკოსი“ 61:77.

**„ბ“ ჯგუფი.** „ბარსელონა – „ოლიმპია“ 76:58, „რომა“ – „მაკაბი“ 82:69.

**„გ“ ჯგუფი.** „ეფეს პილსენი“ – „პარტიზანი“ 65:67, „რეალი“ – „სიენა“ 77:95.

**„დ“ ჯგუფი.** „ვალენსია“ – „ფენერბახჩე“ 82:68, „ოლიმპიაკოსი“ – „ჟალგირისი“ 78:64.

ასე რომ, 8 რჩეულიდან ზუსტად ნახევარი ესპანეთის პრიმერადივიზიონის წარმომადგენელია – „ბარსელონა“ (იგი ერთადერთია, რომელმცა ყველა დუელი მოიგოძ, „რეალი“, „ვალენსია“, „ტაუგრესი“, ბერძნული გრანდები – „პანათინაიკოსი“ და „ოლიმპიაკოსი“, აგრეთვე იტალიური „სიენა“ და ისრაელის „მაკაბი“.

**შეგახსენებთ, რომ „ოთხთა ფინალს“ მაისში კატალონია უმასპინძლებს.**

**გიორგი შოთაძე**

## მეორე კასილიასს ეტრფიან

**სწორედ მეორე იკერ კასილიასად მოიხსენიებენ ფეხბურთის წრეებში მადრიდის „ატლეტიკოს“ 20 წლის მეკარეს დავიდ დეჰეას და მასზე პრეტენზიას უკვე აცხადებს ევროპის ბევრი კლუბი, მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედიც“, 30 მილიონი ევროს გადახდას რომ აპირებს „ოქროს ხელთათმანებიან“ ყმაწვილში.**



თუმცა მას მხოლოდ ფეხბურთის ფუნქციონერები როდი „ეტრფიან“, ბევრმა ესპანელმა ქალიშვილმა ის თავის სექს-სიმბოლოდ გაიხადა; მიუხედავად იმისა, რომ მას თითქოს რომანი ჰქონდა ვულგარული ქცევის ესპანელი მომღერალთან ედური გარსია ალმაგროსთან. ბასკურიდან თარგმანში ედური თოვლს ნიშნავს.

◉ შიდა ვალი

# მაშინ რას იზამთ, გადახდის დრო როცა დადგება?!

**ვალი – ეს ის სუბსტანციაა, რომელიც, ფაქტობრივად, ყველა ქვეყნის, მით უმეტეს განვითარებადის, მთავრობის გამუდმებული თავის ტკივილია. სახელმწიფო ვალები, მოგეხსენებათ, ორი სახეობისაა – გარე და შიდა. ამჯერად ყურადღება ამ უკანასკნელზე გვინდა შევაჩეროთ.**

სახაზინო ვალდებულებების ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდას, რაც, არსებითად, შიდა ვალის აღებას ნიშნავს, მთავრობისა და კომერციულ ბანკებს გარდა მომხრე არ ჰყავს. შიდა ვალი საქართველოს მთავრობას შარშანდლამდეც ბევრი ჰქონდა, მაგრამ შარშან, წლის მიწურულისთვის, მან საკუთარ თავსაც „აჯობა“ და გეგმით გათვალისწინებული 370 მილიონი ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდების ნაცვლად 463 მილიონი ლარის ღირებულებისა გამოუშვა. ამასთან, მკვეთრადაა გაზრდილი საპროცენტო განაკვეთიც, რასაც ექსპერტები თავის დროზე მთავრობისადმი ნდობის ნაკლები ხარისხით და მაღალი ინფლაციის მოლოდინით ხსნიდნენ, რაც, როგორც ვხედავთ, გამართლდა კიდეც.

უნდა ითქვას, რომ სახაზინო ვალდებულებების აუქციონებზე გამოტანილი ფასიანი ქაღალდების ლომის წილი, კერძოდ, 86 პროცენტი, საქართველოს სამ ყველაზე დიდ კომერციულ საფინანსო კომპანიაზე – „საქართველოს ბანკზე“, „თიბისი ბანკსა“ და ბანკ „რესპუბლიკაზე“ მოდის. საგულისხმო გარემოება ის არის, რომ 20 მილიონი ლარის ოდენობის ფასიანი ქაღალდების ემისია ჯერ კიდევ შარშანდელი აპრილის მიწურულიდან დაიწყო, ხოლო ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთის ნახტომისებური ზრდა ივნისში მოხდა.

სხვათა შორის, ექსპერტების საერთო აზრით, ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების დიდი ოდენობით გამოშვების გარდა, **საგანგაშოა ისიც, რომ იგი მათ ყველაზე მაღალი პროცენტით ყიდის. არცთუ დიდი ხნის წინათ ბევრმა კომერციულმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი შეამცირა და ზოგი მათგანი სამომხმარებლო სესხებს 11 პროცენტითაც გასცემდა. სადღეისოდ კი, როცა სახელმწიფო მათ სესხებში 14 და კიდევ მეტ პროცენტს უხდის, კომერციული ბანკებისთვის ეკონომიკის ნებისმიერი დარგის დაფინანსებას, როგორიც გნებავთ მომგებიანი და პერსპექტიული იყოს იგი, სახელმწიფოსთვის კრედიტების გაცემა გაცილებით მომგებიანია, თანაც გაცილებით უსაფრთხო.**

თავისთავად, სახაზინო ვალდებულებებზე ფინანსთა სამინისტროს მიერ საპროცენტო განაკვეთის გაზრდა, უწინარესად, იმას ნიშნავს, რომ **სახელმწიფო ობლიგაციების მყიდველი საფინანსო ჯგუფების მხრიდან მთავრობისადმი ნდობის ხარისხი შემცირდა, თანაც ინფლაციის ტემპის მატების რისკი საკმაოდ მაღალია. ამდენად, კომბანკებისთვის სახსრების დაბალი პროცენტით დაბანდება მთლად ზარალიანი თუ არა, ნაკლებად მომგებიანია.** თანაც სახაზინო ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკას განვითარების ისედაც არცთუ სასიხარულო პერსპექტივებს მთლად „შავ ბურუსში“ თუ არ ახვევს, ყოველ შემთხვევაში ძალიან ბუნდოვანსა და გაურკვეველს ხდის.

სახაზინო ვალდებულებების პრობლემა საქართველოს საფინანსო სექტორისთვის ახალი სულაც არ არის: ჯერ კიდევ იმ დროს, როცა სახელმწიფო ბიუჯეტი საკმაო გადაჭარბებითაც სრულდებოდა, საქართველოს ეროვნულ ბანკს მაინც ჰქონდა 600 მილიონი ლარის ოდენობის შიდა ვალი.

ერთი ძველი თქმისა არ იყოს – სხვის ფულს დროებით სესხულობ, საკუთარს კი სამუდამოდ აძლევ. შიდა ვალების აღება, იმავე მაღალი საპროცენტო განაკვეთის ფასად, იქნებ საქმეს დროებით შველის კიდეც, მაგრამ ამას მრავალი ექსპერტი ძალიან ნეგატიურად აფასებს. საქმე ის არის, რომ როცა იქნება, მათი დაბრუნების დროც ხომ მოვა და ერთი ის გვაცოდინა, რა სახსრებით უნდა გაისტუმრონ ისინი? ნუთუ ისევ ახალი სესხებისა და კიდევ მეტად გაზრდილი საპროცენტო განაკვეთის ხარჯზე?

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ სულაც არ მეხუმრება...

# ყბედები

**გიგუცა და მიტუა კარის მეზობლები, ძველი ძმაკაცები და, ადგილობრივ ხელისუფალთა შეფასებით, სტაჟიანი ყბედები არიან. მაგრამ სიმართლესა ყბედობენ თუ სიცრუეს, ეს ჩვენი ენატლიკინა ძმაკაცები, ამის გამრჩევნი დღემდე არ გამოჩენილან. ერთადერთი რის დადგენაც შეძლეს, ის არის, რომ გაზომვის შემდეგ, გიგუცას, მიტუასთან შედარებით, სანტიმეტრნახევრით გრძელი ენა აღმოაჩნდა. იქნებ სწორედ ამ უპირატესობითაც აიხსნება, რომ იმ საღამოს საუბარი, რომელსაც მეც შევესწარი, სწორედ გიგუცამ წამოიწყო.**

– მიტუავ, რო არ მიჯერებდი, თავის დროზე ხო გეუბნებოდი?

– რას მეუბნებოდი? – თავი მოიქექა მიტუამ, – აბა ერთი გამახსენე?

– მაგ მიწას კაცურად მოუარემეთქი, არ გაფრთხილებდი?

– საითკენ უკაკუნებ, ვერ მიგიხვდი?

– მშვენივრადაც მიხვდი, მაგრამ არ გინდა რომ ტვინი გაატოკო. აგე, ხო ხედავ, ბურების დასაწუნიც კი გავხდით.

– მაინც რა დაგვიწუნეს ბურებმა? – დაინტერესდა მიტუა.

– დაგვიწუნეს კი არა, საქვეყნოდ თავი მოგვჭრეს. ქართველ გლეხებს მიწის ყადრი არა სცოდნიათო, ფართობები მოუხნავ-დაუთესავი და გავერანებული აქვთო.

– ეგ ვისთვინ უთქვამთ?

– მთავრობისთვინა, სხვას ვის ეტყოდნენ?

– ის აღარ უთქვამთ, რო თავად მთავრობა გვყავს ვერანა?

– მგონი ეგეც უთქვამთ, მაგრამ არ აჩენენ.

– ჰო, დამალონ, დამალონ. ამ მიწებსა და ვენახებს არ ეტყობა, რა ვერანებიც არიან? ეგენი რო ვარგოდნენ, ასე გატიალებული კი არ გვექნებოდა ქვეყანა.

– ეგ ვიღაც ბურები კი მთელ დუნიას გააგებინებენ, რა უქნარებიცა ვართ და მერე ვის რაღას დაუმტკიცებ?

– ძალიან კარგადაც დავუმტკიცებ, – იწყინა მიტუამ, – ბოლობოლო ავდგები და მე თვითონ ჩავალ ბურებთან. მთავრობა რომ გვეუბნება, ბურები გასწავლიან მუშაობასო, იქით ვასწავლი იმათ მიწის ყადრსა.

– მერე აქაურობას ვიღას უტოვებ?

– აგე ბანჯო აქ არ არი? ავდგები და თუ რამე მიწა და ვენახი მაქ, მაგას გადავაბარებ. ეს მთავრობა მაინც ვირებივით მუქთად გვამუშავებს და ვირთან უფრო კარგად ააწყობს ურთიერთობას.

– ჰო მართლა, სად არი ბანჯო, რო არა ჩანს? – გაახსენდა გიგუცას, – მაგ ყურუმსაღს ნაგვიანევმა სექსმა ხომ არ აწყინა?

– არა, ჯო, ღორის გრიპი შეეყარა, ვიღრე არ გამორჩება, თავლიდან არ გამომყავს.

– ღორის გრიპი? – გაიკვირვა მეზობელმა, – ღორს ვირის თავლაში რა უნდოდა?

– მეც ეგ არ მიკვირს, მაგრამ რაიონის მედცენტრმა ასეთი დიაგნოზი დაუსვა და ველარ შევეკამათე.

– ჰოო, ეგ ვერ მოგსვლია კაი საქმე, – თავი გააქნია გიგუცამ, – ბანჯოს განკურნება კაი ბლომად დაგიჯდება.

– აბა კაცო, – შეწუხდა მიტუა, – წუხელ ვფიქრობდი, ტელევიზიით რო ვასიკო გამოდის ხოლმე, – რო ვთხოვო, ბანჯოსთვის ერთ-ორ აბს არ გაიმეტებს?

– ოდიშვილი? არა, ჯო, იმას აბები მარტო მთავრობისთვინა აქვს.

– სუ მთავრობა და მთავრობა! – გული მოუვიდა მიტუას, – ფულის მეტი რა აქვთ მაგ მუდრეგებს, წავიდნენ და ეგ რაღაც აბები უცხოეთში იყიდონ.

– ეე, ვითომ არ იცოდე. მაგათი ამბავი, თუ რამე მოიპოვება ქვეყანაში, ყველაფერი საკუთარ სტომაქში უნდა ჩაიყარონ.

– აბა, კაცო, სუ მაგას არ გავიძახი? კომუნისტების მთავრობა, ახლა რო წარამარა აგინებენ, ამათ ასჯერა სჯობდა.

– მაგრამ მაშინ დამოუკიდებლები რომ არ ვიყავით? – გამოიჭირა გიგუცამ.

– ჰო, ახლა დამოუკიდებლად რო ვშიმშილობთ, ეგ მოგწონს?

– თანაც ცოლი ცალკე შიმშილობს დამოუკიდებლად და შენ კიდე ცალკე, არა? – გაუღლიტა სიტყვა გიგუცამ.

სიტუაცია დაიძაბა. ვიფიქრე, კამათი ჩხუბში არ გადაიზარდოსმეთქი და გარიდება ვამჯობინე. შინ რომ შევედი, ტელევიზიით რომელიღაც სამთავრობო არხი თავმომწონედ და რიხით გადმოსცემდა: ბურები დიდად ნასიამოვნები დარჩნენ საქართველოს დათვალიერებით, თქვეს – შემოდგომაზე დავბრუნდებით, რთველშიც მოგეხმარებით, ბლომად ინვესტიციებსაც ჩამოვიტანთ და ქართულ სოფელს ორ წელიწადში წალკოტს დავამსგავსებთო.

მოდი და გაიგე, გავიფიქრე ჩემთვის, რომელია უფრო ყბედი და ცრუპენტელა – ნაცების მთავრობა თუ მის მიერ უმაქნისად მონათლული ჩვენებური გლეხკაცობა?

**ოთარ ხუციშვილი**

ხსოვნა

# გუგული აბაშიძე-მაღლაკელიძისა



ვერც თვითონ გრძნობდა, ალბათ, ვერც ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს ზამთარი უკანასკნელი იქნებოდა მისთვის. სიკვდილმა როგორ სძლია, ასე ეგონათ სიცოცხლე მისი მოგონილი იყო და აკი ფასიც იცოდა მისი.

დიდი მამულიშვილის ჰაიდარ აბაშიძის ქალიშვილი იყო გუგული აბაშიძე და ისე იცხოვრა, როგორც აჭარის ხევისბერის ქალიშვილს შეეფერებოდა. მისით იწყებოდა ყველა სიკეთე, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო. სხვის ტკივილს საკუთრივ განიცდიდა, დახმარების ხელს გაუწვდიდა და გაუკეთებელს გაუკეთებდა.

ამიტომაც არის, რომ დღეს, ვისაც გვწამდა და გვიყვარდა, ყველა მისი ჭირისუფალი ვართ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა და იმ დღიდან სკალპელი ხელიდან არ გაუშვია. ქალბატონ გუგულის სასახელოდ ისიც ეყოფა, დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მკურნალი რომ იყო. საქართველოს დიდ მეჭურჭლეთუხუცესს ყოველდღე მხსნელად ევლინებოდა „დოხტური“ (ასე ეძახდა გუგულისძ, სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა ექვთიმეს ნაჩუქარ ფრანგულ სუნამოს.

უდიდესი პროფესიონალიზმით, დიდი შრომისუნარიანობით, ყოველთვის აღწევდა სასურველ შედეგს. ვინ მოთვლის, რამდენი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

დიდი აღიარება კი მას შემდეგ მოვიდა, რაც მან და მისმა საქვეყნოდ ცნობილმა მეუღლემ ბენედიქტ მაღლაკელიძემ პრეპარატი „კამელინი“ შექმნეს. ისინი მთელი შეგნებული ცხოვრებით მთელ ქართველ ერს ემსახურებოდნენ. ქალბატონი გუგული საოცრად ბედნიერი იყო, როცა ვინმე გაჭირვებულს მწედ და პატრონად მოევლინებოდა. არადა, ვინ იცის რამდენს შეუღია მისი სახლის კარი რწმენითა და იმედით .

უბედურება არ დაჰკლებია, თავისი სათაყვანებელი ვაჟიშვილის და მეუღლის გარდაცვალებამ ერთხანს თითქოს ამოაგდო კალაპოტიდან, არავის დანახვა და არაფრის გაკეთება აღარ უნდოდა, მაგრამ უამრავმა პაციენტმა კვლავ აიძულა, „კამელინის“ წარმოება აღედგინათ და თვითონ გაჭირვებული, სხვას შეუძახებდა, გამოსავალსაც ადვილად აპოვნინებდა, დააიმედებდა და სიცოცხლისკენ შემოაბრუნებდა.

ყველა სიკეთესთან ერთად იგი განგებას საოცარი მეხსიერებით დაეჯილდოებინა. თითქმის საუკუნეს მიღწეულს ყველაფერი კარგად ახსოვდა, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დაუკარგავს გონება.

თოვლწვიმიანი გაზაფხული მიაცილებს მარადისობის გზაზე.

წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა სევდიანი, მაგრამ ნათელი მოგონება.

გვჯერა, ყველა სათუთად გაუფრთხილდება მის ნათელ ხსოვნას.

გმადლობთ, ქალბატონო გუგული ყველაფრისთვის, ღმერთმა დაგიმკვიდროს წმინდა სასუფეველი.

ახლობლები, მეგობრები

---

არმაზ და იზოლდა სანებლიძეები ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობენ ვლადიმერ გოიაშვილს ძმის

გაიოზ გოიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

„ქართული აკადემია“ და მისი აჭარის წარმომადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წარმომადგენლობასთან არსებული სათათბიროს გამგეობის წევრი, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, შრომის ვეტერანი

არჩილ ტაკიძე

---

შვილები ლაურა, ლუიზა შარაბიძეები, სიძეები სიმონ დოლიძე, რევაზ წულაია, შვილიშვილები მიშა, გვანცა დოლიძეები, ნინო წულაია, ფატი ძოწენიძე, პაატა გაფრინდაშვილი მწუხარებით იუწყებიან

ვარდო სირბილაძე-შარაბიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5 III, 17 სთ. დაკრძალვა 6 III, 15 სთ. მის. ჭოპორტის შესახვევი № 10.

---

ნაილე, ჯიმი, მარიკა, ფრიდონ მიქელაძეები, თამრიკო მაჭავარიანი, ალექსანდრე ნეფედოვი, ნათელა წულაია, ეკა, კახა იშხნელები, მერაბ აფციაური დიდ მწუხარებას გამოთქვამენ

ვარდო სირბილაძე-შარაბიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე

რუსლან თორდინავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

◉ ინფორმაცია

## დააკავეს ყალბი საბუთების გამსაღებლები

**საქართველოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შეძენა-გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს.**

**სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, ტარიელ სიმონიშვილმა და შამილ რობაქიძემ შენგენის ქვეყნების ხუთი ცალი ყალბი ვიზა შეიძინეს და გაასაღეს.**

**მათ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდათ.**

**აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს. გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული სამმართველო აწარმოებს. გარდა ამისა, სასაზღვრო პოლიციის ცნობით, გუშინ სარფის სასაზღვრო პუნქტზე სამართალდამცველებმა საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე - დავით კრავეიშვილი დააკავეს, რომელიც ქვეყნის დატოვებას უკანონოდ ცდილობდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## სულიერება

# მიტევების კვირიაკე



**6 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს განსაკუთრებულ დღეს, რომელიც წელიწადში ერთხელ აღინიშნება.**

...ამ დღეს ყველა ადამიანი, გაახელს თუ არა თვალს, უფალს სთხოვს შენდობას, ღრმად იხედება თავის სულში და რაც უფრო ცხადად ხედავს თავის ცოდვებს, მით მეტი სინანულით ევედრება უფალს მიტევებას. ამგვარად გამოითხოვს შემოქმედისაგან სულიწმინდის მადლს, რომელიც, ვითარცა ცეცხლი, განწმენდს სულს მანკიერებათაგან.

შენდობის კვირას – თავი უნდა დავიმდაბლოთ და ყველა ადამიანს ვთხოვოთ, გვაპატიოს ჩვენი საქციელი, რომლითაც გული ვატკინეთ, უნდა ავმაღლდეთ საკუთარ თავზე (ყოველი ცოდვის სათავე ხომ ამპარტავნებააქ).

პირველ რიგში ჩვენ შევუნდოთ მას (ყველა ადამიანს ძყველაფერი და შემდეგ თავმდაბლობით და გულწრფელად ვითხოვოთ მისგან პატიება...

როგორც ამბობენ: მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისა.

**გიული ლიპარტია**

## ჩვენი კარაბადინი

### როდესაც იძინებთ, ნუ ეცდებით დაიძინოთ

**თუ გაწუხებთ უძილობა და გინდათ დაიძინოთ, ნუ აიძულებთ თავს ამის გაკეთებას. სამაგიეროდ, დიდი მნიშვნელობა აქვს ისწავლოთ მოდუნება, მიაჩნიათ მეცნიერებს ამერიკის შეერთებული შტატების პიტსბურგის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლიდან.**

მეცნიერების სიტყვებით, ბიოლოგიური საათი თავად გიკარნახებთ, თუ როდის ჯობია დაძინება. ამ მეთოდის შესაბამისად, ექსპერიმენტის მონაწილეთა ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ უძილობა მათ უფრო იშვიათად აწუხებთ.

### ბოლომდე არ მოხარშოთ

**ბროკოლის მომზადების ხერხი პირდაპირ ახდენს გავლენას კიბოსთან მისი ბრძოლის ეფექტიანობაზე, ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები.**

კომბოსტოს ამ სახეობის ძალა მის განსაკუთრებულ ფერმენტ მიროზინაზასა და ნივთიერება სულფორაფანშია. ისინი ებრძვიან ანთებებსა და მეტასტაზებს. ბოსტნეულის თბური დამუშავება ანადგურებს მიროზინაზს, არ არის საჭირო ბროკოლის ხარშვა 3-5 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი მისი სასარგებლო თვისებები იკარგება. მაქსიმალური ეფექტიანობისთვის კი საკვებში გამოიყენეთ კომბოსტოს უმი ყლორტები.

### შოკოლადი წინაა!

**მუქი შოკოლადი მეტ სასარგებლო ნივთიერებებს შეიცავს, ვიდრე ახალი მოცვი ან მოცხარი, მიაჩნიათ ამერიკელ მკვლევარებს.**

მეცნიერებმა ერთმანეთს შეადარეს მოცვის, მოცხარის და სხვა კენკროვანთა საცდელი ნიმუშები მუქ შოკოლადს. განსაზღვრეს პროდუქტებში ანტიოქსიდანტების ოდენობა. შედეგად კაკაომ და შოკოლადმა მოიპოვეს პირველობა ფლავონოიდების ოდენობის მიხედვით, რომლებიც ბლოკავენ ორგანიზმში დაბერების პროცესებს. ამას გარდა, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ შოკოლადის არომატიც კი სასარგებლოა – მას შეუძლია შეამსუბუქოს გაციების სიმპტომები.

### არჩევანის ლოგიკა

**ექიმის დანიშნულების გარეშე წამლის არჩევის დროს ადამიანი ორიენტაციას იღებს უწინარეს ყოვლისა ფერსა და სახელწოდებაზე. ასეთი დასკვნა გააკეთეს მეცნიერებმა ინდოეთიდან. მათ დაადგინეს, რომ უპირატესობას ანიჭებენ წითელ და ვარდისფერ აბებს.**

გამოკვლევის მონაწილეთა 14 პროცენტს მიაჩნდა, რომ ვარდისფერი აბები უფრო ტკბილია, ვიდრე წითელი, ყვითელი აბები მლაშედ ეჩვენებოდათ, ნარინჯისფერი – მჟავედ.

ЗДОРОВЬЕ

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7642 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3923 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | 0 – +4 |
| ქუთაისი. | +3 – +4 |
| ბათუმი. | +2 – +5 |
| ზუგდიდი. | -1 – +4 |
| თელავი. | 0 – +6 |

## ანეკდოტები

მე კატია მქვია. თექვსმეტი წლისა ვარ. მიყვარს სპორტი. კარგად ვსწავლობ. მეხერხება კერვა და ქსოვა. არ ვეწევი და არ ვსვამ. საათში 200 დოლარი.

* * *

წესრიგის დამყარების მოსურნე მუდამ ბევრად მეტია, ვიდრე მისი დაცვისთვის მზადმყოფი.

* * *

სოციოლოგთა გამოკითხვის მიხედვით, ყოველი მესამე რუსეთელი მიიჩნევს, რომ მზე დედამიწის გარშემო ტრიალებს. ამასთან, ყოველი მეორე რუსეთელის აზრით, დედამიწა პუტინის გარშემო ბრუნავს.



* * *

ძალიან სახიფათოა ისეთ ქალთან შეხვედრა, რომელსაც მთლიანად ესმის შენი. ეს, როგორც წესი, ქორწინებით მთავრდება.

* * *

ჰოლივუდმა ახალი რეკორდი დაამყარა. ბანკების გაძარცვაზე გადაღებული ფილმების რაოდენობამ გადააჭარბა თვითონ ამ გაძარცვების რაოდენობას.

## SIC!

# „Youtube“-ზე „ჯავახეთის ნაციონალური ჰიმნი და გერბი“ გამოჩნდა




ორგანიზაცია „ჯავახკის“ მიერ შექმნილ ვიდეოზე „ჯავახეთის ჰიმნი“ ჟღერს, ასევე წარმოდგენილია რუკა, სადაც ჯავახეთი საქართველოსგან გამოყოფილია, ხოლო სომხეთის რესპუბლიკის გვერდით თურქეთის ტერიტორიას „დასავლეთ სომხეთი“ ეწოდება.

ვიდეო ვებ-გვერდ „Myarmenia.am“-ისთვის მომზადდა, რომელიც კერძო პროექტს წარმოადგენს და დანარჩენი მსოფლიოსთვის სომხეთის ისტორიისა და „დიდი სომხეთის“ გაცნობას ისახავს მიზნად.

http://www.youtube.com/watch?v=o0ELe2ghrHs&feature=player_embedded#at=14




რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.